კვირა 26 ივლისი 1925 წ. | წელიწადი მესამე | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 15 კაპ.

№ 11—12 გაზ. „კომუნისტი-ს“ სალიტ.-სამხატვრო ორკვირეული დამატება № 11—12

# ზღაპარი

I.

მონა ვარ, ვეტრფიალები გაზაფხულის მთვარიან ღამეს...

როგორც რუსთველის თეატრში აიხდება ფარდა და გამოჩნდება დიადი ფანტასტიური სანახაობა—მარჯანიშვილის მიერ შექმნილი, ისე ბუნებასაცა ჰყავს თავისი რეჟისორი—ღამე.

ამ დიადმა რეჟისორმა—ღამემ აჰხადა, ააშრიალა თვისი ფარდა—ნისლი და გამოჩნდა ღამის მისტერია...

ხავსით დაგვირგვინებულ პანმა სალამური ააკვნესა.

იგი ღამის კომპოზიტორია...

ტკბილია და მომხიბლავი მისი მელოდია, როგორც „ლილეო“..

ისე არასოდეს უწკრიალნია ჰანგებს, როგორც ამ ღამეს..

ყვავილებიც იშვიათის სინაზით მიმოაკმევდნენ სურნელებას...

ნაკადულებიც სულ სხვა გრძნობებით ღურღურებდნენ...

—

საერთო ჰარმონია დააგვირგვინა განსაკუთრებულ წკრიალმა, რომელიც ანაზდეულად გაისმა.

ვისია ეს ხმა?

ვინ დაარხია იგი მარგალიტების მსხმოიარე ზღაპრულ ხესავით?

არავინა სჩანდა.

ბაიბური არ ისმოდა.

იდუმალება იყო ტყეში.

იდუმალება ცაში.

იდუმალება ჩემს სულში.

მხოლოდ დიდი ხელოვანი პანი ისევ აკვნესებდა სალამურს.

არავინ დამინახია და მე მაინც გავიღიმე...

ასე უზადოდ, მიამიტად უღიმის ბავშვი დედასა...

ეს იყო ჩემი პირველი ბავშვური, უნისლო ღიმილი მას შემდეგ, რაც მოვიზნიქე წელთა სიმრავლით.

ოცნება განვაგრძე...

კვლავ მომესმა კისკისი...

რას ნიშნავს ესა?..

არავინა სჩანს.

ნუ თუ გალიუცინაცია მეწყობა?

მზვერავად გადავიქეცი.

უცბად ვიღაც უხილავი მეამბორა...

ვინ უნდა ყოფილიყო?

გიჟმაჟი ნიავი?

განა ამ შუაღამისას ეცალა ჩემთვის?

მას ახლა მდელოზე ეძინება ყვავილებთან...

კვლავ მომესმა სიცილი...

უკვე ახლო, ჩემს ზურგთ უკან ვიღაცა კისკისებდა.

მოვიხედე...

ტურფა ქალი დავინახე...

ვგონებ ტანისამოსი არც კი სცმია...

ყვავილებით იყო შემოსილი.

გაშეშებული შევყურებდი..

მომიახლოვდა..

უხმაურო იყო მისი მოძრაობა...

თითქოს ნარგიზს ფეხები აედგას და ის დადიოდეს სათუთი ყვავილებით...

გამიღიმა...

ახ, დედიკოს დაღუპვის შემდეგ მე აღარ მღირსებია ასეთი მოსიყვარულე, დამყვავებელი ღიმილი...

ალერს დანატრულებული გული ამიყუჩდა...

— გამარჯვება შენი...—მომესალმა იგი და შემომანათა თვალები, რომელშიაც ნარნარებდენ მტრედისფერი ყვავილები..

— რას აკეთებ აქ... შუაღამისას... ვისმეს ხომ არ ეძებ?

— მე?.. არავის!.. ვინ უნდა ვეძებო?.. არავინა მყავს...

— ნუ, ნუ ინაღვლებ... გაზაფხულის ზღაპარს ჰკლავს ჯავრიანობა...

რომ გავემხიარულებინე—მომიჯდა გვერდით და მითხრა:

— გახსოვს, შენს ყრმობის სიზმრებში გეზმანებოდა უცხო ასული...

ის გრძნება—ფერია მე ვარ...

მე ვარ ის ზღაპარი...

და აი მოველ...

მე გულს მომეშვა...

სასოებით თვალები მომენაბა..

— გიხარიან?

— ოო, სევდა, სევდა მაინცა მბორკავს...

— მაშ მიყურე... მალე გადაგეყრება ჯავრი...

და იწყო ცეკვა რითმოვანად...

ყვავილებიც კი ალტაცებაში მოვიდნენ მისი მზერით...

რაღაც გრძნეულებით ერთ ციცქნა მემუსიკეებად გადაიქცნენ და აანარნარეს უტკბილესი მელოდიები...

* *

ცეკვით მოიქანცა.

— წავიდეთ ტბაზე—მითხრა მან...

— ტბაზე?..

— ხო!..

— აქ რა უნდა ტბასა?.. აქ ახლო-მახლო არსადაა ტბა...

— როგორ არა... მოსარკული ტბაა... შიგ გედები დაყელყელაობენ...

ნავიც არის...

ნიჩბებიც..

— რავქნა, რას მეუბნები?.. მე კარგა ვიცნობ აქაურობას... წყაროების მეტი აქ არა არის რა...

— დაკვირვებული არა ჰყოფილხარ, თორემ შეამჩნევდი..

მომკიდა ხელი და გამიყვანა გავაკებულ ადგილას..

საოცნებო ტბა გამოჩნდა..

თითქოს უზარმაზარი სარკე მწვანე ჩარჩოში—ისე ლაპლაპობდა ეს ტბა...

ტალღები საიდუმლო ხმებით ეტლაშუნებოდენ ლერწმოვან კიდეებს...

ჩავსხედით ნავში.

მე არ ვიცი ნიჩბის მოსმა..

თვით კისრულობს ნავის წარმართვას.

მივცურავთ...

თან ნიჩბებს ამუშავებს, თანაც მეტიტინება..

თვითეული მისი ბგერა ყაყაჩოებად იშლება და სადღესასწაულო სამოსად მესხმება ტანსა..

— ნუ, ნუ ინაღვლებ...

ხომ მიყურებ, რა მხიარულად ვარ.. შენც იკასკასეო...

მართლაც ვატყობდი, რომ

სევდის ნისლი ჰქრებოდა, იპენტებოდა...

გული მიმალხაზდებოდა...

ვეღარც კი ვცნობდი ჩემს თავსა...

არა, ეს მე არა ვარ...

ჩემს ადგილას არის ვიღაც ბედნიერი.. დათაფლული...

ნარგიზების მდიდარ სიზმარში დაბადებული...

**

— რა არის შენი სახელი, ძვირფასო?..—დიდი ხნის დუმილის შემდეგ ვეკითხები...

— ზღაპარი!

— ზღაპარი?.

— ხო, ზღაპარი... ერთად-ერთი, ტკბილი, მაგრამ გაუმეორებელი ზღაპარი...

— რა კარგი ხარ, ზღაპარო, რა მომხიბლავი... ნორჩი...

...ი წლისა ხარ?..

...იათასი... ორმოცი ათასი... შეიძლება ც...

ორმოცი ათასზე მეტი და მაინც ასეთი ნორჩი?..

თითქოს მხოლოდ მეჩვიდმეტე გაზაფხულს აეკვესებინოს შენი ზურმუხტის თვალები...

**

ღამე თანდათან ტყდებოდა...

ალიონი იწვოდა...

აღმოსავლეთი წითელი იაგუნდის სხივებით ვარაყდებოდა...

შუქურ ვარსკვლავი ცრიატდებოდა...

ქალის გალობაც სუსტდებოდა...

იდუმალდებოდა...

მისი ხელი, სასოებით რომ მეჭირა, თანდათან მსუბუქდებოდა...

ჰაერ ივნდებოდა...

იისფერ გალობას კი ისევ განაგრძობდა...

. . . . . . . . . . . . . . . . . .

რაღაც კითხვა მინდოდა მიმეცა, მაგრამ იგი ჩემთან აღარ იყო...

სად წავიდა?..

რად გამომეცხადა, თუ მეყვსეულად გაჰქრებოდა?..

ან ტბა რაღა იქნა?..

აღარცსად ტბა და არსად ნავი...

ირგვლივ იყო მხოლოდ ტყე ულრანი—დუმილის კარვად გაშლილი...

II

ვეძებდი... დიდხანს ვეძებდი...

აღარსად სჩანდა...

ერთხელ ტყეში ვიდოდი ჩვეულებისამებრ მოწყენილი...

შემოდგომა იყო...

ყველაფერს ნარინჯ-თურინჯის ფერი ედო...

ყველგან მეფობდა მოწყენა და სიყურსე...

მოწყენა და სიყურსე მოიხლაზნეშოდა თვითეულს ბილიკზე...

თვითეულ ჩირგვნარიდან...

მომდორეზუთ ტბას ჩასცქეროდნენ ტოტებ დახრილი ტირიფები და განწირული ორთოლით დასტიროდნენ...

ბებერი ნაძვები კი სდუმდნენ...

ისინი უასაკონი რომ არიან—უგრძნობი ნურავის ჰგონია...

ისინი სდუმან, მაგრამ სცოცხლობენ...

იციან ყველაფერი...

ესმით საიდუმლოება გაზაფხულ-შემოდგომისა... სიცოცხლე-სიკვდილისა...

მათვე ეცოდინებათ, უეჭველად ეცოდინებათ საიდუმლოება და სადაურობა ჩემი გადაკარგული „ზღაპრისა“.

იციან ეს და ინახავენ ფრთხილად...

არ ამჟღავნებენ...

საუკუნეებს უნდათ გადასცენ ადამიანის შეუმცნევლად...

**

დავალ გადაშუშულ-გაშიშვლებულ ტყეში და ვეჩივი მას ჩემს დანაკარგს...

იქნება გაიზიაროს ჩემი სევდა...

მე მაინც გამიმხილოს ხვაშიადი...

მიმასწავლოს „ზღაპრის“ სამშობლოსკენ...

ეჰ!..

მხოლოდ ცივი დუმილით მეხმაურება.

ტყე სდუმს მძაფრი ქარის ამარად მიტოვებული, გადამწვარ კოშკებისავით...

სდუმს ტყე, თუმცა ბევრი რამ უნახავს...

ბევრჯელ მოუსმენია საგაზაფხულო ლოცვაცა და საშემოდგომო ქვითინიცა...

დავალ მტირალი ფიქრებით და ვეძებ მას, ოცნების ფრთები რომ შემასხა ტკბილი სიცილით...

წავალ ისევ იქა, იმ ადგილას, სადაც შემომესმა მისი სიცილი...

. . . . . . . . . . . . . . . . . .

ნუ თუ, ნუ თუ ის იყო?

ისაა... ისა...

იგი იდგა ჩემს წინ ნაღვლიანი.

ჩამქრალი და გაცრეცილი იყო მისი სახე, როგორც თამარ მეფის სურათი გავერანებულ ბეთანიის ეკლესიაში...

სადღა იყო მისი სიმალხაზე?

წინეთ ის ჰგავდა მსოფლიოს ყვავილების დედათმთავარს ვარდს...

ახლა კი...

აჩრდილის აჩრდილს დამსგავსებოდა...

იგი თვით იყო შემოდგომა...

ასე მეგონა უკვე შემომესივნენ მჭკნარი ფოთლები და ორთოლით, ცახცახით მეხვევიან.

— სად იყავი, ძვირფასო?. რად გამტანჯე ძიებით?..

— მე ყველგან, ყოველთვის შენთან ვიყავი...

მე შენში ვარსებობდი... შენს გულში ვიჯექი.

იმიტომ განიცდიდი ასეთს ტკბილს სევდას...

**

მომიახლოვდა და მწუხარედ მაკოცა შუბლზე...

ცრემლები თრთოდა მისს თვალებში.

— შენა სტირი, ჰქვითინებ, კეთილო?..

შენ ჰქვითინებ მე რომ მიშლიდი ჯავრიანობას?..

მითხარი, გეთაყვა, ვინ ხარ... რად სტირი?..

— მე ვარ შენი გაზაფხული, შენი ზღაპარი-მოველ მისთვის, რომ გამოგესალმო...

— ასე მალე?..

ნუ, ნუ დამიღამებ გულსა გვემულსა...

მე ხომ ჯერ არც კი გამიცდია შენი მშვენება...

მან ნაღვლიანად შემომხედა...

გულს გამიბნია რაღაც ნაზი ყვავილი.

მკრთალი იყო და ნაღვლიანი ის ყვავილი, როგორც ჩემი დედიკოს მწუხარე სახე კუბოში...

რა არის ესა?..

ახ, რა არის?..

მე არასოდეს მინახნია ასეთი ყვავილი.

რა ჰქვიან ამ ყვავილს?..

— მოგონება!..

მოგონებაო—მითხრა მან

და...

ვაი, უკვე მესმის მის ფოთლების კაეშნიანი შრიალი...

ესაა განწირული შრიალი და ჩივილი დაუბრუნებელ წარსულზე...

— შენ მიხვალ... მიხვალ... ის მაინც გამაგებინე საით მიემგზავრები?.

— მე მივალ, რომ დავიძინო...

— მერე, ვინ გაგაღვიძებს?..

— გაზაფხული... მოფრინდება იგი ფასკუნჯის ფრთებით და გავიღვიძებ...

უეჭველად გავიღვიძებ...

გავახელ თუ არა თვალს, მყის გამოვიცვლი შემოდგომის სამოსს...

ჩავიცვამ მხიარულს... ფერადს...

— მაშ კვლავ მომიხვალ?.,

— მოვალ, მაგრამ შენთან კი არა... ახლა სხვასთან.. სხვას გავიტაცებ ტბისკენ...

— მე მიღალატებ?

— შენ რაღად გინდივარ?..

— შენს წლოვანებას ზღაპრები აღარ შეეფერება...

— ზღაპრები?.. მაშ შენ მართლა ზღაპარი ჰყოფილხარ..

მხოლოდ ზღაპარი...

მე კი სინამდვილე მეგონა...

მან დამჭკნარ ზამბახის ორთოლით გაიცინა და მომიგო;

— ვინ იცის სად იწყება სინამდვილე და სად თავდება ზღაპარი...

ვინ იცის...

ან რად გინდა ამის გაგება...

— იქნებ შენ არც კი ჰყოფილხარ ჩემს ცხოვრებაში?..

ეგებ შენა გნახე მხოლოდ სიზმრად?..

— მერე რა?..

ზმანება განა იგივე სიცოცხლე არაა?..

თუნდა მე მხოლოდ სიზმარი ვყოფილიყავ შენს ცხოვრებაში, განა დაგავიწყდება ის ტკბილი განცდანი მე რომ მოგანიჭე?..

**

ვგრძნობდი, ვხედავდი იგი მიდიოდა...

დაჭრილ, სისხლ დაცლილ წეროსავით გავაყოლე უკანასკნელი ვედრება:

— შენ მდიდარი ჰყოფილხარ ბუნებასავით...

დამიბრუნდი და კიდევ ერთი, მხოლოდ ერთი ყვავილი მაინც მომიტანე ბედნიერებისა...

— საბრალო მეგობარო!.. უკანასკნელად გამეხმაურა იგი...

— შენ გინდა მარადიული გაზაფხული იყოს?.

რადა იმედოვნებ ასე ამაოდ?..

რა არის უკვდავი ამ ქვეყნად?..

ვის გაუგია სამარადისო გაზაფხული?..

— არავის, არავის!..—გაიქვითქვითეს სუნმილებულ, მოშუშულ ყვავილებმა...

**

წავიდა, წავიდა ჩემი ზღაპარი.

გაჰქრა ცოცხალი ზღაპარი, რომელიც შეიძლება არც კი ყოფილა ქვეყნად აროდეს...

— ესაა სიცოცხლე?.. შევეკითხე ნაძვებს—მარტოდ-მარტო, მოწყენით რომ აღმართულიყვნენ ჟინჟღლიან სივრცეში...

ვერც მათგან მივიღე პასუხი...

იგინი სდუმდნენ გულ-ჩათხრობით და ინახავდნენ საიდუმლოებას...

დ. თურდოსპირელი.

გ. საუტაჲ.

# შტრეიკბრეხერი

თქვენ გინდათ გაიგოთ როგორ მოხდა ეს? მე მჯერა თქვენი: თქვენ გამოგგზავნათ ჩემმა ამხანაგებმა, რომ დამიცვათ მე. მაგრამ განა თქვენ ფიქრობთ, რომ ვაჭრების სასამართლო დანაშაულს მაპატიებს? არა და არა. მე ვიცი, რომ 10 წლის ციხე ჩემთვის უკვე უზრუნველყოფილია. განა ღირს ჩემი დაცვა?

გიამბოთ? კარგი. მხოლოდ ეს იქნება არა ბელეტრისტიკა და არც სენსაციური ისტორია სამცენტიან კვირეულ ჟურნალიდან. ასეთი ისტორიები მრავალია ქვეყანაზე და მათ ყველაზე კარგად იცნობს ჩვენი სასამართლო. მას საამისოთ მზამზარეული ფორმულაცა აქვს შემუშავებული: „ადმინისტრაციისათვის, მის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების დროს წინააღმდეგობის გაწევისათვის, რასაც თან სდევდა ძალადობა—10 წლის ციხე“. მაგრამ შეუდგეთ საქმე. დრო, რომელიც მოგეცათ თქვენ ჩემს სანახავათ ჩქარა გაივლის.

წარსული წლის ივნისში მე პირველად ვიხილე ამერიკის ნაპირები. ჩვენს, ემიგრანტებითა და საქონელით სავსე გემს, 7 საათი დასჭირდა, რომ მიეღწია ნავთ[illegible]რამდი, საიდანაც თავისუფლების ძეგლი *) [illegible]ოგს ჩირაღდნით უნათებდა გზას, ზიგს კიდევ კომბლით ემუქრებოდა.

მივადექით ჩვენ, რასაკვირველია, ელის ეილენდს **). თქვენ წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს უგროშკაპეიკო ჭაბუკისათვის, რომელიც ჩ მოვიდა სამუშაოს საძებნელათ, თვენახევრის გატარება საკარანტინო კუნძულზე, სადაც გაზეთებიც კი არ აღწევენ და ემიგრანტების ახალ-ახალ ჯგუფებს, ერთი მეორეზე საშიში ამბავი მოაქვთ.

— დღეს 70 კაცი დააბრუნა უკან ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლმა კომისიამ.

— საექიმო კომისიამ 112 მუშა დააშორა თავის მოხუც მშობლებს.

— პოლიტიკურმა კომისიამ არ მიიღო ორი გემი რუსებით, ებრაელებით და პოლონელებით. რა უნდა ჰქნან ახლა იმ უბედურებმა..

ყოველდღე გვესტუმრებოდა ხოლმე რომელიმე კომისია და ეს სტუმრობა შიშით ავსებდა ბარაკში თავმოყრილთა გულებს. განსაკუთრებით მძვინვარებდა პოლიტიკური კომისია, რომელიც თითეულ ჩამოსულში ხედავდა წითელ აგიტატორს ათეული ბომბებით ჯიბეში.

ადამიანს აბნევდენ, ტვინს ურევდენ, ურჩევდენ ეთქვა „სიმართლე“, რადგან „კომისიამ ყველაფერი იცის“ და აბრალებდენ ათას, იქვე შეთხზულ დანაშაულს.

ერთი შვედი ძლიერ ბევრს გვებაასებოდა ამერიკაზე. გვიამბობდა თუ როგორ კარგად შეუძლია მოეწყოს მუშას, თუ ის განზე იდგომება პოლიტიკიდან და არ შევა მუშათა კავშირში.

— ჯერ გადადევი ორიოდე ათასი ყოველ შემთხვევისათვის, შემდეგ კი, რაც გინდა აკეთე,—გვეუბნებოდა ის.

ჩვენც ვეთანხმებოდით მას. ჩვენ ხომ სამუშაოს საძებნათ ვიყავით მოსული. და როცა მან წინადადება მოგვცა შეგვედგინა ამხანაგობა და გვეთხოვა სამუშაო ტორონტში*), სადაც ახალი ქარხნები იხსნებოდა, ჩვენ სიხარულით დავეთანხმეთ.

რამდენიმე დღეში შვედმა გააწყო საქმე და ჩვენ ბარგი-ბარხანით შეგვყარეს გრძელ საბარგო ვაგონებში და გაუდექით გზას. ერთ სადგურზე ჩვენთან ამოვიდენ ვიღაც ახალგაზრდები და ხელი მოგვაწერინეს ხელშეკრულებაზე, რომლის ძალით ერთი წელიწადი უნდა გვემუშავა ტორონტანის ქაღალდის ფაბრიკებში.

დაგვირიგეს წინდაწინ 100—100 დოლარი **). ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქონდა. 4 დღეს გვათრია ჩვენ მატარებელმა მობიბინე ველებზე ჯემპერსამდი... იქ კი ჩვენ შემოგვიერთდა მუშების დიდი პარტია, რომელიც აგრეთვე ტორანტონში მიემგზავრებოდა. ეს იყო ჯმუხი, მიუკარებელი ხალხი, რომლებიც პასუხს არ იძლეოდენ ახლების კითხვებზე. ჩვენ ჩაგვსვეს ვაგონებში. ახალგაზრდებმა, რომლებმაც ხელი მოგვაწერინეს ხელშეკრულებაზე, შემოიტანეს ვაგონში რამდენიმე ყუთი, შემდეგ გამოგვიკეტეს კარები და მატარებელი დაიძრა. თითეულ ვაგონში, როგორც გამყოლი გვახდა თითო ახალგაზრდა. როცა მატარებელმა რამდენიმე მანძილი გაიარა, ერთმა გახსნა ყუთი და გვითხრა:

— აბა ცოტა დავლიოთ ჯამაგირების მიღების გამო. ვისაც სურს, მობრძანდეს.

ყუთში არაყი აღმოჩნდა. არავინ არ სთქვა უარი გადაკვრაზე. ყველაზე მეტი დალიეს ჩვენმა უტყვმა თანამგზავრებმა.

როცა მე, ისევ ნახევრათ გაბრუებულს გამომეღვიძა, მატარებელი იდგა. გამოეღვიძა ამხანაგებსაც.

— რატომ ვდგევართ?—ალბათ დიდ სადგურზე მივედითო,—გვითხრეს და წინადადება მოგვცეს კიდევ გადაგვეკრა.

რვა საათი ვიდექით. როგორც იქნა გააგვიღეს კარები. ღამე იყო და ჩვენთან შემოსულებს, რომლებსაც მწვანე ქუდები ეხურათ, ხელში ელექტრონის ლამპები ეჭირათ.

ჩვენ გამოვედით ვაგონებიდან დაგვთვალეს, თითეულის გვარებით გამოძახებით. შემდეგ მოვიდენ საბარგო ავტომობილები. დავსხედით. დატვირთული ავტომობილები დაიძრენ. მე ცოტა შემაგვიანდა და ყური მოვკარი ასეთ ლაპარაკს:

საქონელი ჩაგაბარეთ, გვიბოძეთ ხელწერილი.

— რამდენია შენი?

— ჩემია 76. მიკმა დანარჩენები სხვა ვაგონებში მოათავსა. თქვენი პროფესიონალები კი გზაში შემოგვიერთდენ.

— ყოჩაღ სვენ. დილით შეგიძლია ფული მიიღო.

— საქონელი მოგეწონა?

— არა უშავს, ვფიქრობ, რომ შენი ბიჭები გამომადგებიან. საქმე მოპყრობაშია.

— ხა-ხა ხა ხა, მოპყრობა ხომ შენ იცი!

მე დავაკვირდი მოსაუბრეებს. ერთი იყო ვიღაც ჩასუქებული კაცი ლურჯი ქუდით, მეორე კი—ჩვენი წინამძღოლი შვედი. მე მივხდი, რომ ის ვიღაცას დავალებით აგროვებდა ხალხს. ზურგი შევაქციე. აბა რა მესაქმებოდა?

ოციოდა ავტომობილმა გაგვაქანა ბნელ ღამეში ტყით. შორს სინათლეები გამოჩნდა და შოფერებმაც აჩქარეს მანქანები.

ჩქარა ჩვენ გავჩერდით ფაბრიკასთან, რომელსაც მაღალი კედელი ჰქონდა შემოვლებული და ციხეს უფრო მოგვაგონებდა. ღამით ფაბრიკის ეზოში დაგვტოვეს.

დილით ჩვენ დავიწყეთ მუშაობა.

მანქანები არ იყო ახალი და ისეთ შთაბეჭ-

*) ნიუ იორკში.

**) „ცრემლების კუნძული“, ს დაც აკავებ ნ (ზოგჯერ თვეობით), ემიგრანტებს, სანამ გამოა კვევდ ნ—შეიძლება თუ არა მათი დაშვება ამერიკაში.

*) ქალაქია ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ონტარიოს ტბის პირად.

**) დოლარი 1 მ. 94 კაპ.

## ჩვენი ქალაქი

ჩვენი ქალაქი სამჭედლოა
ახალ ცხოვრების;
აქ იჭედება მომავალი
რკინის მკვლავებით,
შრომის ემბაზში დასცურავენ
აქ ჩვენი ძმები
და ბრწყინვალე მზეს შეჰყურებენ
ცეცხლის თვალებით.
საბჭოთა ქალაქს შესტრფის
მათი სული ნაღული,
(ო, რა კარგია ქანაობა
შრომის მორევში)
ქალაქის ქუჩებს აცხოველებს
ელექტროს შუქი,
ელექტროს შუქი, შორეთიდან
მოსული ელჩი.
ქარხნის საყვირი აქ ძილს
უფრთხობს
დღეს შრომის ურჩებს,
ჩვენი ქალაქი არ მფარველობს
დღეს პარაზიტებს,
იგი უკოცნის შრომის შვილებს
გამურულ ტუჩებს
და სულს უხუთავს ძველი
ქვეყნის ამაყ რაინდებს.
ჩვენი ქალაქი არ ჩამოგავს
დღეს სხვა ქალაქებს,
აქ სიცოცხლეა შრომის მკვლავით
გაქანებული,
აქ შრომის შვილი თვის
ქვეყნას თვითონ განაგებს
და თვითონვე სჭედს მშრომელთა
ბედს, სიცოცხლეს, სურვილს.
ჩვენი ქალაქი სამჭედლოა
ახალ ცხოვრების,
აქ იჭედება მომავალი
რკინის მკვლავებით.
ოფლის მორევში ბანაობენ
აქ ჩვენი ძმები
და სიცოცხლის მზეს შეჰყურებენ
ცეცხლის თვალებით.

ქ. ფ—ი.

## მსოფლიო მოგზაურები



გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი

ვილჰელმ პეტ ედმონ ცშეილე

რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინად ესტუმრენ თბილისს და განაგრძობენ მოგზაურობას.

# რაჭას

ძალიან ხშირად მაღელვებენ უცხო ფიქრები,
მგონია, რომ შენ ვერ მიმვილებ გრძნობით ალურით,
მე კი ამ რიგად შენს წიაღში მუდამ ვიქნები,
მუდამ მომალხენს მაღლობები გადმოსარული.
მე მინახია როს გაღვიძებს მზე მთის წვერიდან,
შიშობს უდროოთ არ შეგიკრთოს ძილში თვალ-წარბი,
მაგრამ რიონი ავაზაკი არ მოგერიდა
და დაიმშვიდა ბრბო ტალღებით ქინი ნახარბი;—
მაშინ შენს მთებზე ბილიკები რომ იკლაკნება
და გზა საურმე რომ იფარვის ბუჩქთა სიმწვანით
მიემართება შრომისაკენ ბავშვის აკვნებათ
ზანტი ურმები და ჭრიჭინი მისდევს სიმწარეთ.
მახსოვს ბავშვობა, მოგონება უძვირფ სესი
ასეთი თვლები მაშინ ხშირად გამომითლია.
აქ თურმე ხარებს უმსუბუქებს გზების სიძნელეს
მე კი გართობა და თამაში არ მომიკლია..
შორით დაგცქერის მწვერვალიბი თეთრი ჩადრებით
თვითონ მაისიც ველარ ათბობს გულს ნაჭალარევს.
ვერ იკრიბება შენს ველებზე ძნა ნაადრევი
და გაჰაფხულის მოლოდინში თვალებსა სდალავენ.
როგორ გიხდება, როცა წვიმა თმებს დაგინამავს
და დაუვარცხნელს დაგამშვენებს ნაზ ქალწულივით,
მზე ხვანჭკარულით ნამთვრალევი, ღრუბლების კარავს
გადახსნის კიდევ და ერთხელაც თვალს გაგისწორებს
რა ენაღვლება შენს ფერდობებს და შმაგურ რიონს
ძვირფას საჩუქრად, რომ ჩაუდის წყლები ნაგუბი
მას ხომ სჭირდება ქვევით გზები, რომ გადარიოს
ხომ საჭიროა უხეშ ნავებს, რომ წაეჩხუბოს...
ალბათ მას ღამეც არა სძინავს ამაზე ფიქრით,
რომ უსერავენ გულს ნიჩბები, ბორნის წვეტები
გიჟურ ხმაურში მასთან ერთად ეს წყრომა მოჰქრის:
„თქვენ ეი, ვინც ხართ ჩემზე ნულარ დაეხეტებით".
მაგრამ დღე მაინც არ ისვენებს შრომის მ უ...ველი
დაღლილ საქონელს წყალზე გზავნის თავ ჩაკიდებულს,
მხოლოდ საღამო არ აწუხებს ჩამობურვილი
როცა მკვადრსავით მიატოვებს მზე ცის კიდურეებს..
აქ იფარება ძველი ჭმუნვა ქარქაშ-ახსნილი
როცა ლანდივით „...ნდა ციხე" მთვარეს ახედავს
ველარ ჰკლავს სევდას მაღლობებით თმა დავარცხნილი
იგი ხომ წინათ მაღალ სახელს აამაყებდა...
ეხლა შენს გორებს, შენს მაღლობებს, მწვანე ფერდობებს
შრომის მარჯვენა რაინდივით ესაკუთრება,
გლეხის ფარაჯავ გადიშალე, წარსული დაგმე
ეს მშვენივრება შენი არის, შენი კუთხეა...
ნეტავი რომ მე მაწუხებდეს რამე ფიქრები,—
შენმა მშვენებამ მონაწილეთ მე ; მომიწოდა,
ნამდვილი შვილი ალბათ მაშინ გარდავიქმნები
როს ორეულით გადმოვივლი მე სომიწოდან...

ე. პოლუმორდვინოვი.

დილებას ტოვებდენ, თითქო ეს არის ახლა მიატოვესო, აუარებელი ნედლი მასალა ეწყო ყველგან, თითქო მუშაობა გუშინ შესწყვიტეს.

ამუშავდა ქარხანა.

მუშაობის პირობები დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ ერთი იყო გასაოცარი: ფაბრიკის კედლებს იქით არ გვიშვებდენ. მაგრამ სამაგიეროთ თავსაყარი გვქონდა არაყი და რომი, მწვანე ქუდიანი პოლიციელები ჩვენი გულითადი მეგობრები შეიქნენ, მაგრამ ფაბრიკის ეზოს კედლებთან ახლო არ გვიშვებდენ.

ფაბრიკის კედლებს იქით ხშირათ გვესმოდა ხმაურობა, თითქო აუარებელ ხალხს მოუყრია თავი და ღრიალებსო.

ერთხელ, ჩემი რიგის უფროსმა მუშამ, სამმა—ჩვენ ერთად ვისხედით ქარხნის პატარა ბაღში,—მითხრა:

— ხმაურობენ.

— ვინ?

— ისინი, ძველები...

და განაგრძო ჩიბუხის წევა. მე არ მოვეშვი, მინდოდა გამეგო რაში იყო საქმე. მაგრამ სამმა ალმაცერად გადახედა ახლო მჯდომ ამხანაგებს და არაფერი არ სთქვა.

ლამით გავიგე ყველაფერი. ჩვენ, როგორც პირუტყვი მიგვყიდეს ფაბრიკას და გვამუშავებდენ გაფიცულ მუშების ნაცვლად.

სამი პროფესიონალი შტრეიკბრეხერი გახდა მას შემდეგ, რაც ის დაიჭირეს კრებაზე. მას მისცეს არჩევანი: ციხე ან „პატიოსანი" შრომა შტრეიკბრეხერთა რაზმში.

მან აირჩია მეორე, მიჰყიდა სული ეშმაკს. მე არ მიძინია იმ ღამეს. მივხდი, რომ მე და ჩემმა ამხანაგებმა ჩავიდინეთ დანაშაული ძველების მიმართ.

რა ვქნა? რა ვქნა? მეათასერთჯერ ვეკითხებოდი ჩემს თავს და პასუხი ვერ მიმეცა.

მეორე დღეს გეგმას ვადგენდი და ვმუშაობდი ნახევრათ გარეტიანებული ..ვფიქრობ, რომ ტორნტონის გენერალურ კომპანიას მიეღოს იმ დღეს ჩემგან გამომუშავების სრული ნორმა.

მე განვიზრახე გაფიცულ მუშების შემოშვება ფაბრიკაში. მე არ ვიცნობდი სხვა მეთოდს გარდა ძალადობისა. მე მომატყუეს, მოტყუებაზე ძალადობით ვუპასუხე. ქვითა ვართ.

ქარხნის ეზოს, კანტორის შენობის უკან, ერთი დიდი ჭიშკარი ჰქონდა, რომელსაც პოლიციელი იცავდა.

გათენებისას, მე შევკარი პოლიციელი, ჩავიცვი მისი ფორმა და გავექანე მუშათა უბნისკენ.

დიაღ, სერ, მე ვინახულე საგაფიცვო კომიტეტის წევრები. მე არ მენდვენ. მაშინ კავშირის ახალგაზრდა დელეგატმა დააჯერა თავისი ამხანაგები მომენდობოდენ მე. გადავეცი ფორმა ერთ გაფიცულთაგანს და ჩვენ დავბრუნდით უკან. ის დადგა სადარაჯოთ ჭიშკართან, მე კი მის ახლო დავიძინე.

დილის 7 საათზე საყვირზე აგუგუნდა ქარხანა. დილის 8 საათზე კი გაიღო ჭიშკარი და გაფიცული მუშები კავშირის წარმომადგენლის მეთაურობით შეიჭრენ ქარხანაში.

— მიანებეთ თავი მუშაობას! ძირს შტრეიკბრეხერები!.. გაიძახოდენ ისინი და მიეშურებოდენ სახელოსნოებისაკენ.

ახალგაზრდობა იმ წამსვე შემოგვიერთდა ჩვენ. პროფესიონალებმა ერთად მოიყარეს თავი და სდუმდენ.

გავიმარჯვეთ... დავიძახე მე და ამ დროს საიდანღაც ისროლეს.

შტრეიკბრეხერების უკან გამოჩნდენ პოლიციელები.

თქვენ იცით, სერ, რით გათავდა ყველაფერი ეს? მეორე დღეს ჩვენ დავასაფლავეთ 50 ამხანაგი. საღამოს კი მე დამაპატიმრეს. ვიღაცამ იპოვა შეკრული პოლიციელი და მან მიუთითა ჩემზე.

მე არაფერი დამიმალავს დაკითხვის დროს. ცუდათ მოვიქეცი? უაზრო გმირობაო,—ამბობთ თქვენ? გმირობისა კი რა მოგახსენოთ. მე გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა. რა საჭიროა ჩემი დაცვა სასამართლოში, არაფერი აქედან არ გამოვა. უკეთესი იქნება, თუ შესძლებთ, ამცნეთ მთელს ქვეყანას თუ როგორ ეპყრობიან მუშებს „დემოკრატიულ" ამერიკაში.

# შავი წელიწადი*)

(მოთხრობა)

## VII. ტყვე ქალი.

ხუქუჰა. ტყის პირად დაბანაკებულა ორმოცამდე ყაზახი.

ცხენები მიუშვიათ გლეხების ოფლითა და სისხლით მოყვანილ ყანაში და თითონ კი მხიარულად შეექცევიან დატაცებულ ხორაგსა და ღვინოს.

იქვე გაშლილ ნაბადზე ზის ხელებშეკრული ახალგაზრდა ქალი და თვალთაგან მდუღარე ცრემლი ჩამოსდის.

— რა გატირებს, ქალო?—ეკითხება ჩოფურა ყაზახი:—მოიწყინე? ცოტა კიდევ მოითმინე, დაღამდება და მაშინ გაგამხიარულებთ...

ქალმა ცრემლ მს უმატა.

— სტირის.. ქალის იარაღი ცრემლებია!—სთქვა ერთმა ყაზ. ხმა.

— რამდენიც უნდა იტიროს, ვერავინ ვერას უშველის,—სთქვა მეორემ.

— ერთიც ვნახოთ, მეამბოხენი დაგვეცნენ თავს და ქალი წაგვართვეს!—წამოიძახა მესამემ.

— არა,—მიუგო ჩოფურამ,—აქეთ მხარეს მეამბოხეები არ არიან...

— რომ გაჩნდნენ?

— აბა ამ მივარდნილ ალაგას საიდან უნდა გაჩნდნენ?

— ფიქრი ნუ გაქვს,—მიუგო ჩოფურამ,—მართალია, ისინი, სადაც არა გგონია, იქ ჩნდებიან ხშირად, მაგრამ ახლა მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ არაფრის შიში არ მოგველის...

— ღვინო, ღვინო დამისხით!—დაიძახა ისევ პირველმა და მოუთმენლად ელოდა ღვინოს.

## VIII. ქართველი ყაზახებთან.

ყაზახები რომ ამ ამბავში იყვნენ, სწორედ ამ დროს ტყიდან გამოვიდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ყმაწვილი ბიჭი და პირდაპირ მათკენ წამოვიდა.

— ძმებო! ვიღაც ქართველი მოდის!—დაიძახა ერთმა ყაზახმა.

ყველამ იქით დაიწყო ყურება, საიდანაც ქართველი მოდიოდა.

— ვინ არის ნეტა, მტერია თუ მოყვარე?—იკითხა მეორემ.

— მოყვარე იქნება, თორემ მტერი აგრე თამამად ვერ მოვიდოდა ჩვენთან.

— ვინ იცის, ცოტა თავზე ხელაღებულია ამ ქვეყანაში? იქნება მტერიც არის!..

— თუ გინდა მტერი იყოს, მერე რა არის, ის ერთია და ჩვენ ორმოცნი!..

ამ ლაპარაკში უცნობი ქართველი თავზე წაადგა.

— გაუმარჯოს ყაზახობას!—ხმა მაღლა შესძახა მან და ქუდი მოიხადა, ჰაერში შეატრიალა.

— გაგიმარჯოს, მაგრამ ვინ ხარ, რომ მარტო კაცი აგრე თამამად მოხვედი ჩვენთან?—ჰკითხა ჩოფურამ.

მოსულმა ბიჭმა ღიმილით გადახედა ყაზახებს.

— მოყვარესთან ყოველთვის თამამად და უშიშრად მივალ, მტერს კი მოვერიდები, გზას ავუქცევ!—მიუგო მან, ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდის ნაჭერი ამოიღო და ჩოფურას გადასცა.

მან ჩამოართვა ქაღალდი, გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

„ყველას, ვისაც კი ეხება ეს საქმე, ვთხოვ დაეხმაროს ამ ბარათის წარმომდგენს სტეფანე ბრიკაძეს, რომელიც იმყოფება ჩვენს სამსახურში და მინდობილი აქვს მას მეამბოხეთა მეთაურების აღმოჩენა. შტაბის უფროსი ბ. ა. ხორინი."

წაკითხვისათანავე ბარათი მოწიწებით დაუბრუნა ჩოფურამ.

— ბოდიშს ვიხდით, ბატონო ბრიკაძე, რომ ასე უზრდელად მოგექეცით,—უთხრა ჩოფურამ;—ჩვენ მზადა ვართ გემსახუროთ, რითაც კი შეგვიძლიან... გვიმსახურე შენი მსახურნი!..

— გმადლობთ, მეგობრებო,—მიუგო სტეფანემ და ჩოფურას გვერდზე დაჯდა.

— რაკი ჩვენი მეგობარი ყოფილხარ,—უთხრა ჩოფურამ,—მაშ ღვინო მიირთვი...

ამ სიტყვებთან ერთად მან მიაწოდა თუნუქის კრუჟკით სავსე ღვინო.

— მეგობრებო, მე ჩემი სამსახური ნებას არ მაძლევს ღვინის სმისას და ქეიფისას, მაგრამ ამ ერთ კრუჟკას კი დავლევ თქვენს სადღეგრძელოს!—უთხრა სტეფანემ, ჩამოართვა ღვინო და დაილოცა:—თქვენი და თქვენი იარაღის სადღეგრძელო იყოს, ძვირფასო მეგობრებო, სადაც წახვიდ-წამოხვიდეთ, ყველგან გამარჯვებული იყავით!

— ვაშა! ვაშა! ვაშა!!—დაიღრიალეს ყაზახებმა.

სტეფანემ კრუჟკა გამოცალა და დაფიქრდა.

— რას დაფიქრდი, მეგობარო,—მიჰმართა ჩოფურამ,—მხიარულად იყავი; აი ქალიც გვყავს, საღამოზე გასიამოვნებთ, წილს დაგიდებთ... ეს ქალი ორმოცისაა, კენჭი უნდა ვყაროთ და, ვისაც რა ნომერი ერგება, იმ რიგით უნდა ვისიამოვნოთ... შენ კი, როგორც ახალგაზრდა და კაი მეგობარი ჩვენი, უკენჭოდ პირველად დაგითმობთ...

— ერთი ქალი ორმოცზე?!—გაიკვირვა სტეფანემ.

— რა უშავს, გაჭირვების დროს ოთხმოცზედაც გამოდგება,—უპასუხა ჩოფურამ;—ამ ქალის მამამ ოთხი ამხანაგი მოგვიკლა და თითონაც თავი მოიკლა... ჯავრი ამაზე უნდა ვიყაროთ...

— აგრეა, მამის პასუხი შვილმა უნდა აგოს!—სთქვა სტეფანემ და ხმა მაღლა გადიხარხარა.

ტყვე-ქალმა ბრაზით გადმოხედა სტეფანეს.

— შენისთანა მახინჯებმა დააქცია იმერეთი, თორემ ისე რა გვიჭირდა!—მისძახა მან ყაზახების ღრიანცელში და ხმა მაღლა იწყო ტირილი.

## IX. მოტყუებული ყაზახები.

გამხიარებული ყაზახები ხუმრობდნენ, ოხუნჯობდნენ და ერთმანეთს უამბობდნენ, თუ სად რა სიმხეცე ჩაედინათ.

მათს უმსგავს საქციელზე სტეფანე გულიანად ხითხითებდა და აქებდა მათ.

— მეგობრებო!—უცებ მიჰმართა მან:—ნება მომეცით ამ ქალს მოველაპარაკო ცალკე, იქნება მასთან ლაპარაკებმა რაიმე სარგებლობა მოუტანოს იმ წმინდა საქმეს, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით!

ყაზახებმა დართეს ნება და ისიც მიუახლოვდა ქალს.

— ადე, ქალო,—უთხრა მან,—საჭირო საქმეზე უნდა მოგელაპარაკო!..

— რა გინდა, შე ბინძურო, ჩემი ჯავრი არ მეყოფა?! ესენი თუ ურჯულო ყაზახებია, შენ ხომ ჩვენი კაცი ხარ, შენ მაინც დამანებე თავი!—უთხრა ქალმა და ტირილით მიჰყვა უკან!—ყრუ არ ვარ, ქე გავიგე, რა საქმეც გაქვთ...

— ნუ სტირი, ქალო!—ტკბილად დაუწყო სტეფანემ,—მე კოწია ქედიანელი ვარ და აქ იმიტომ მოვედი, რომ გაგანთავისუფლო ამათ ხელიდან; ტყიდან დაგინახეთ მე და ჩემმა ამხანაგებმა... ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის, ვითომ შენ იცი ვინმე დიდი სოციალისტის ბინა და უნდა მაჩვენო... მოვითხოვ, რომ მე და შენ ორი ყაზახი წაგვატანონ და წავიდეთ აქედან, დანარჩენი მე ვიცი... ვითომ ამის ჯილდოდ განთავისუფლებას დაგპირდი შენ და თავი მოიმხიარულე ცოტა...

— შენ გენაცვალე, თუ არ მატყუებ...

— ჩუმად,—უთხრა კოწიამ,—მე იმიტომ არ მოვსულვარ აქ, რომ შენ მოგატყუო... მე ყაზახებს ვატყუებ... შენ აქ იყავი, მე კი მოველაპარაკები მათ და მერე გზას გავუდგეთ!

ამ სიტყვებთან ერთად კოწია მხიარულად გაემართა ყაზახებისკენ.

ჩოფურა ყაზახი, რომელიც თვალს არ აშორებდა მათ, მხიარული ღიმილით შეხვდა მას, თითი დაუქნია და უთხრა:

*) გაგრძელება, იხ. „ჩირაღდანი" № 10.

— დაითანხმე? ჩვენთან სტირის და შენთან კი როგორ გამხიარულდა... მოეწონე, ახალგაზრდა ბიჭი ხარ...

კოწიამ ხელი ჩაიქნია.

— შენ რომ ფიქრობ, მე იმისი დარდი არ მაწუხებს, მე სულ სხვას ვფიქრობ.., ჩემს სამსახურზე ვფიქრობ...

— რას ფიქრობ?

— მეგობრებო!—დაიძახა კოწიამ:—მე ამ ქალისაგან გავიგე ბინადრობა ისეთი კაცისა, რომელსაც დიდი ხანია ეძებს მთავრობა და რომლის კისერიც თოკსა თხოულობს... სამი კაცი საკმარისია, მე და ორმა თქვენგანმა წავიმძღვაროთ ეს ქალი წინ და წავიდეთ იქ, სადაც მე გეტყვით... ორ საათში ის სათოკე კაცი აქ მეყოლება გათოკილი!.. სამაგიეროდ, —აქ ხმა დაიდაბლა კოწიამ,—ქალს დავპირდი ტყვეობიდან განთავისუფლებას, რაშიაც, რასაკვირველია, მალე გაუცრუვდება იმედი... მეგობრებო!—კვლავ აიმაღლა ხმა:—მხოლოდ ერთი არ დაგავიწყდეთ—თქვენი პირობა!..

— რა პირობა?—ჰკითხეს ყაზახებმა.

— იქიდან რომ დავბრუნდებით, პირველად ქალი ჩემია!..

— შენი იყოს!—შესძახეს მათ და ხარხარი დაიწყეს, გამხიარულდნენ უზომოდ.

— მაშ, წავიდეთ!—სთქვა კოწიამ.

— ორი ყაზახი წამოდგა ბარბაცით და ცხენებთან მივიდა. ერთ ცხენზე კოწიამ ქალი შესვა, მეორეზე თითონ მოახტა და მხიარულად შეუდგნენ მთის ბილიკს.

— მშვიდობით იმგზავრეთ და მშვიდობითვე დაბრუნდით უკან!—მიაძახა ჩოფურამ.

## X. დაბა ონის გზაზე.

— ვერ მივედით დანიშნულ ადგილს? ეს ქალი ხომ არ გვატყუებს?—იკითხა ერთმა ყაზახმა.

— ეს ქალი მე ვერ მომატყუებს!—სთქვა კოწიამ, ელვის სისწრაფით იძრო მამისეული დიდი ბასრი ხანჯალი და თვალის დახამხამებაში ორივე ყაზახის თავი იქვე გაგორდა.

სწორედ ამ დროს მოვიდა კოწიას სამი ამხანაგი, რომელნიც ტყიდან უთვალთვალებდნენ და მზად იყვნენ სროლა აეტეხათ ყაზახებისთვის, თუ ეს საჭირო იქნებოდა.

ამხანაგს გამარჯვება მიულოცეს, დახოცილი ყაზახები უფსკრულში გადაჰყარეს და გაუდგნენ გზას.

— ქალო, რომელ სოფლელი ხარ? სად წაგიყვანოთ?—ჰკითხა კოწიამ.

— რა ვიცი, თქვენი ჭირიმე, ჩვენი სოფელი გადამწვარია, ხალხი დახოცილი, ზოგი გაქცეული, სად წავიდე? მამა მე არ მყავს და დედა, თუ წამიყვანთ დაბა ონში, იქ მამიდა მყავს, ძალიანს დაგიმადლით!—უთხრა თვალცრემლიანმა ქალმა:—თუ არა და, გადამჩეხეთ აგერ კლდეზე!..

— არა, ქალო, იმიტომ არ გამოგტაცე კაციჭამიებს, რომ კლდეზე გადაგჩეხო,—უთხრა კოწიამ და ამხანაგებს მიუბრუნდა:

— ამხანაგებო, თქვენ საქმეს ნუ მოსცდებით, მე მარტო წავიყვან ამას დაბა ონში და ჩავაბარებ თავის მამიდას...

— ოთხი კაცის მოცდენას ერთის მოცდენა სჯობია,—სთქვა ერთმა ამხანაგთაგანმა და სამივემ შეუხვიეს დასავლეთისკენ მიმავალ მთის ბილიკს.

კოწიამ მშვიდობით მიიყვანა ქალი დაბაში და ჩააბარა მამიდას. მცირე დასვენების შემდეგ კი ისევ გზას გაუდგა, რომ პირნათლად ემსახუროს საერთო საქმეს.

## XI. ყაზახთა ბანაკში.

ყაზახთა ბანაკში მოუსვენრობა დაეტყოთ.

— ორ საათში უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, დაღამდა და ჯერ არ მოსულან!—ამბობდა ერთი ყაზახი:—მოგვატყუა იმ ბრიკაძემ...

— ჯანაბას ბრიკაძის თავი, თუნდა სულაც ნუ დაბრუნდება, ოღონდ ის ქალი დაბრუნდეს!—ამბობდა მეორე.

— იცით რა, მეგობრებო,—ამბობდა მესამე,—ჩვენ იმ ბიჭმა მოგვატყუა!

— როგორ?—იკითხა ჩოფურამ.

— როგორ და ისე, მოვიდა აქ, ვითომ ჩვენი მეგობარია, გაგვასულელა ერთმა კაცმა ორმოცი კაცი, ქალი წაიყვანა და წავიდა!

— ჩვენი ამხანაგები რომ გაჰყვნენ უკან?

— ვინ იცის, იმ ჩვენს ამხანაგებს რა მოუვიდათ!

— ქაღალდი რომ ჰქონდა?

— არც ის ქაღალდი იყო მართალი... მართალი რომ ყოფილიყო, ბეჭედი ექნებოდა დასმული; ხელმოწერილი იყო „შტაბის უფროსი სორინი“ და, ვინ არის, არ ვიცით, სორინი მე ჯერ არ გამიგონია!

ჩოფურა ყაზახი დაფიქრდა.

— იმ ბიჭმა მართლა მოგვატყუა ჩვენ!—სთქვა მან:—მერე რა ზორბად მოგვატყუა და!.. ვინ იცის, ახლა როგორ იცინის, რომ ამდენი ხალხი ასე გაგვასულელა!..

— გაიცინებს, მაშ რას იზამს; საცინელი არ არის თუ რა! ერთმა ორმოცი მოატყუა!..

— მე იმას არ ვნანობ, რომ ერთმა ორმოცი კაცი მოგვატყუა, მე იმ ქალის დაკარგვა მენანება...

— აფსუს, რა ქალი იყო!..

— რა საჭირო იყო ღამის ლოდინი, განა არ შეიძლებოდა დღისით დავმტკბარიყავით...

— რატომ არ შეიძლებოდა, შეიძლებოდა; მხოლოდ დაღამებას იმიტომ ველოდით, რომ ის ბიჭი მოსულიყო და მას წაეყვანა!—სთქვა ჩოფურა ყაზახმა და გაბრაზებული გამოაფურთხა.

— სულ იმ თხისწვერიანმა კი მოიგონა—დაღამებას მოვუცადოთო!—განაგრძო ჩოფურამ და მიაჩერდა ერთ ახალგაზრდა ყაზახს, რომელსაც მართლა თხას მიუგავდა წვერი...

— შენ ეი, რას ილანძღები, ჩემს წვერს რას ერჩი? შენს სახეს დახედო, ფლავის საწურავს რომ მიგიგავს!—უპასუხა თხის წვერიანმა.

ჩოფურამ პასუხის ნაცვლად გამოაფურთხა და დაწვა დასაძინებლად. მას მიჰბაძეს დანარჩენებმა და მალე მთელი ბანაკი ტკბილად ხვრინავდა. ორი ყაზახი დარჩა სადარაჯოდ.

**მუშა ნიკო ახლამაზაშვილი.**

(დასასრული იქნება.)

# გლეხის სიტყვა.

დასაბამიდან ვიყავი მონა, ქვეყნის მპყრობელნი პირუტყვად მთვლიდნენ.
ხან თვის ასულებს მზითვად მატანდნენ, ხანაც ძაღლებზე ბარიბარ მცვლიდნენ.
ხუნდზედა დაკრულს ფეხს მისერავდნენ, შიგაც დაფხვნილსა მარილს მაყრიდნენ.
და ასე უძლურს, ბედის საწყევლად ხშირად ცეცხლისა პირად გამშლიდნენ.

—

ვგმინავდი მწარედ... ათასმა წლებმა ქარიშხალივით გვერდს ჩამიარეს.
მაგრამ ერთხელაც ჩემს ბნელ სარკმლისთვის არ მოუცლია არც მზეს, არც მთვარეს.
სხვის მარჩენალი—ვიყავ მშიერი, ცრემლების ღვარი მიშრეტდა თვალებს.
იმ დროს ძლიერნი ჩემს ამ ყოფნაში ჰპოებდნენ ძვირფას ალმასს და ლალებს.

—

ერთხელაც არის შვების ნიავმა ჩემს დაჭრილ გულმკერდს გადაურბინა.
შემომამსხვრია მონობის ჯაჭვი, ქვესკნელს შთანთქმული ზე აღმაფრინა.
დღეს იმ მოხდილი, თავისუფალი და გადამდნარი როგორცა რკინა,
ვდარაჯობ დროშას... საგუშაგოსთან ავყია ყვავებს არა აქვთ ბინა.

—

თანაც ვიმღერი... ჩემს სიმღერაში არ ისმის ტანჯვა და აღარც სევდა.
მსურს დავივიწყო ის, რაც ოდესღაც, ჩემში გესლიან ბოღმას იწვევდა.
ნაცვლად ძლიერი,—სათუთი გულის აწ საფიქრებლად მე დავისახე.
შევქმნა ამ სოფლად შრომის სამეფო და ხალხთ ცხოვრების ახალი სახე.

**გრ. ჭოჭუა.**

# ახალი ცნობები ნიკო ფიროსმანის შესახებ

ამ ორი თვის წინათ გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა ნიკო ფირასმანის 6 სურათის დაკარგვის შესახებ. ეს სურათები ინახებოდა რიყეში მტკვრის პირად მყოფ ერთ გაუქმებულ სამიკიტნოში, რომელიც კარგა ხანს დაკეტილი იყო. ეს სურათები ეკუთვნოდა მხატვრის შემოქმედების 1912—14 წლების პერიოდს. როდესაც ამ დაკარგულ სურათების ძებნას შევუდექი, შემთხვევა მომეცა რამოდენიმე ახალი ცნობა შემეკრიბა ნიკო ფიროსმანზე სხვა და სხვა პირთაგან, რომელთაც პირადათ სცნობიათ მხატვარი. მათ შორის საინტერესოა ცნობა, რომელიც გადმომცა ბ. ეგიევმა, რომელსაც 19 თებერვლის ქუჩაზედ აქვს სამიკიტნო დუქანი აი ამ დუქნის ხშირი სტუმარი ყოფილა ნიკო ფიროსმანი და ეგიევს მისთვის დაუხატვინებია 30-მდე სურათი. ჩვენ აქ მოვიყვანთ თვით ეგიევის ნათქვამს:

— „ნიკალაი, რომ დილით დუქანში შემოვიდოდა, სალამის შემდეგ ჯერ არყის ჩაჩონკასთან მოვიდოდა, ხელს დაჰკრავდა, გაშინჯავდა, როდესაც დარწმუნდებოდა რომ არაყი იყო, მაშინ მეტყოდა, აბა, ერთი „თლაშოი“ *) დაასხი. მეც დაუსხავდი, შემდეგ მეორეს, მესამ ს და მას მერე შეუდგებოდა ხატვას. მისი მუშაობა შემდეგ ნაირი იყო: ჩვენ უყიდდით საჭირო ტილოს, წებნაკს, ფერადებს. ნიკალაი პირველ დღეს ჩარჩოზედ გადასჭიმავდა „გრუნტს“ (ფონს) გააკეთებდა და თან სვამდა. მეორე დღეს დაიწყებდა სურათის ხატვას. წაიმუშავებდა ცოტას, შემდეგ მოვიდოდა დახლთან: „აბა მეგობარო, ერთი დაასხი,— გადაჰკრავდა და კვლავ დაიწყებდა მუშაობას; ცოტა ხნის შემდეგ ისევე გაიმეორებდა, გად ჰკრავდა, შუბლზე ხელს გადაისვამდა, ჩაფიქრებული გაივლ-გამოივლიდა შეხედავდა სურათს და კვლავ იწყებდა ხატვას, ასე რომ მთელი დღის განმავლობაში დალევდა 25 არაყს მაინც. მხოლოდ იყო მეტად მშვიდი, არავის არ აწყენინებდა ამასთან მეტად გულკეთილიც იყო, ხშირად, როდესაც ნიკოლაი ჩემს დუქანში მუშაობდა ღამითაც აქ ეძინა ხოლმე საქმარისი იყო მისთვის გეჩვენებინა რომელიმე საგანი და გეთქვა:—ნიკოლაი, აბა ის დახატეო, რომ ნიკოს საოცარის სინამდვილედ გადაეღო ტილოზე იგი. ერთხელ გაზაფხულზე დილით, როდესაც ნიკო ჩემს დუქანში იყო და გამზადებული ჰქონდა „კლიონკა“ ... ხატად, სწორედ ამ დროს ჩამოიარა ურემმა, რომელშიც სოფლელები ისხდნენ და თელეთს მიდიოდნენ სალოცავათ. ურემს ჭრელ ფარდაგ გადაფარებული ჩარდახი ედგა, კოფოზე პატარა ბიჭი უჯდა, წითელ ხალათა. ურემზე ცხვარი იყო დაკრული, უკან ლოგინით სავსე მაფრაშა იდო, შიგაც ორი „საკალბასე“ **) იჯდა ჩარდახის მოკაუჭებელ ჯოხზედაც წყლის ლიტრა ეკიდა, აგრეთვე ნავთის ჭურჭელი. მე ეს ძალიან მომეწონა და ნიკოს უთხარი—„აბა, ნიკალაი, ეს ურემი თავისი ხარებით დახატე მეთქი. ნიკომ მაშინვე გამოიხედა გარეთ, დაინახა ურემი. დააცქერდა და გაბრუნდა. კუთხემდე რომ მივიდა, ისევ გამობრუნდა და ერთიც გამოჰყურა ურემს, შემობრუნდა, ხელით მანიშნა დამისხიო. გადაჰკრა და ხმა ამოუღებლივ შეუდგა სურათის ხატვას გაჩქარებით და როდესაც სურათი დაასრულა, ღმერთმანი, პირდაპირ გავოცდი. კაცო, ისე როგორ დამეხავსა ნამდვილს... ვა, როგორცა ვნახე, ისე იყო, წითელ ხალათა ბიჭი, ჭრელი ფარდაგი, მაფრაშა, ორი „საკალბასე“ ისევე, როგორც ისხდნენ. ლიტრა და შენ იფიქრე, ხარებს შუბლზე რა ფერის ნიშანი ჰქონდათ! ისიც კი ისე იყო დახატული.

ნიკალაი ჩემთან ორი წელიწადი მუშაობდა დრო გამოშვებით, მაგრამ არ მახსოვს, რომ იმას ჩემთვის ფული ეთხოვოს, სჭამდა სვამდა და ეს იყო. სურათებში ფულს არ თხოულობდა, მხოლოდ როდესაც ვნახავდით, რომ მას ან ტანთ აკლია ან ფეხთ, მაშინ ჩვენი სინიდისით უყიდდით ხოლმე შალვარს, ძველ



ნიკო ფიროსმანი

ფიჯაკს, საცვლებს, ფეხსაცმელებს და სხვა ისიაც ძალიან მადლობელი იყო. აი ასეთი საწყალი ხასიათის კაცი იყო, მხოლოდ ძალიან ალალ მართალი და სწორე კაცი. მარტოკა რომ დაგვეტოვებინა დუქანში და მთლად ოქროები გაგეშალა იქ, არა დაიკარგებოდა რა. საწყალი ნიკალაი. გავიგე, რომ მგონია, მომკვდარა, უნდა გითხრათ, რომ იმის ნახატი სურათები ბევრს მოსწონდა. აი უცხოეთიდან, რომ ჩამოდიან ხოლმე ქვეყნების სანახავად ფრანცუზები, ერთხელ იმათ გამოიარეს ჩემს დუქნის წინ, რამოდენიმე წლის წინეთ. შემოიხედეს დუქანში და ნახატები დაინახეს, მერე შემოვიდნენ დაწვრილებით გასინჯეს, მოეწონად, მთხოვეს მოგვყიდეო, მე რაც დაუფასე მომცეს და რამოდენიმე სურათი წაიღეს. ამ სურათებზე იყო დახატული ციხეები, კოშკები და სხვა. შემდეგ ამ ექვსი წლის წინად მოვიდა ჩემთან ერთი პირი და დანარჩენი სურათებიც იმან იყიდა. არ ვიცი, მგონია, მუზეუმისათვის გვინდაო, სწორედ აღარ მახსოვს.

ასე დაამთავრა ბ. ეგიევმა თავის მოგონება ნიკო ფიროსმანზე.

რიყეში მიკიტანმა „ბედნი ლადო“ მაჭარაშვილმა, რომელიც პირადათ იცნობ ფიროსმანს და ამისათვისაც დაუხატია სურათები შემდეგი გადმომცა:

—„ამ 14 წლის წინათ აქვე რიყეზედ „პივნოი“ ჰქონდა რუსის ბიჭს კოლას. ამას ძალიან მოსწონდა ნიკოლაის ნახატები და მოინდომა, რომ მისთვის დაეხატვინებია. დაუძახა ნიკოლაის და იმანაც დაიწყო პივნოიში ხატვა ერთ დღეს ნიკო დაავრა და მეორე დღეს აღარ მოვიდა სამუშაოდ. ამაზე კოლა შესწუხდა, რადგან სურათები დაუმთავრებელი დარჩა. მაშინ კოლამ შემდეგ ხერხს მიმართა: წავიდა ვაგზლისაკენ, სამიკიტნოებში, სადაც იყო მოსძებნა ნიკოლაი, ჩასვა ფაეტონში და ასე მოიყვანა. შეიყვანა „პივნოიში“ ის იქ დასტოვა სამუშაოდ და თვითონ გარედან კარები კლიტით დაუკეტა. კოლას ასე ჰყავდა დამწყვდეულ ერთ დღე-ღამეს, ვიდრე სურათებს არ დაამთავრებდა. საჭმელ-სასმელს და არაყს გარედან აწოდებდა. ასე დაამთავრებინა ეს სურათები და მხოლოდ შემდეგ გაანთავისუფლა.“

## ფიროსმანი—რიყეში მომუშავე

1911-12 წლებში რიყეში, გალუშკინის ბაქში ძროხების თავლა ჰქონდა ვინმე ი. ზაზანაშვილს, რომელსაც მუდმივად ჰყავდა ჯიშიანი ძროხები ზაზანაშვილი კარგი მეგობარი იყო ნიკო ფიროსმანისა, რომელიც მასთან ხშირად დაიარებოდა და სურათებსაც უხატავდა. ერთხელ რუსეთიდან ჩამორეკეს სხვილფეხა საქონელი გასაყიდათ და ამ ეზოში მოათავსეს. დილით ზაზანაშვილმა საქონელი ნახა. მოეწონა, იქვე შეესწრო ფიროსმანიც. ზაზანაშვილმა სთხოვა, რომ მისთვის დაეხატა ეს ძროხები. ნიკომ თხოვნა აუსრულა და მაშინვე შეუდგა ხატვას. მან ის მომენტი გადაიღო ტილოზე, როდესაც ძროხების პატრონს ევაჭრებიან, აქვეა შუა კაცი (დალალი), რომელიც მყიდველს არიგებს პატრონთან. ერთ-ერთ ძროხას იქვე სწველიან რძის გასაშინჯათ და სქელი რძე ჩხრიალით ჩადის თუნუქის ჭურჭელში. სურათი მეტად ლამაზი გამოვიდა. ზაზანაშვილს დიდი კოლექცია ჰქონდა ნიკო ფიროსმანის ნახატებისა, რომელიც მოთავსებული იყო თავლაში, რომელსაც 1915 წელს ცეცხლი გაუჩნდა და სურათებიც დაიწვა. ზაზანაშვილის კოლექციიდან გადარჩა მხოლოდ სამი სურათი: 1. დიდი ტილო 3—2 არშინი, რომელზედაც მოთავსებული იყო 6 სურათი. ეს ტილო მე შევიძინე და 1915 წ. გადავეცი ქართველ მხატვართა საზოგადოებას. 2. „კალო“—კარტონზე ნახატი შევიძინე ერთ სამიკიტნოში, ესეც გადავეცი ქართველ ხელოვანთა კავშირს 1922 წ. 3. „შველი“—კარტონზე ნახატი ცოტა დაზიანებული, 1918 წელს იგი გადავეცი სამხატვრო გალერეას.

რიყეშივე ერთ სამიკიტნოში იყო ფიროსმანის ნახატი. ეს სურათები დაიღუპა 1922 წელს წყალდიდობის დროს, როდესაც რიყე წყლით აივსო. ამ [illegible]

*) შაფრიანი არყის ჭიქა.

**) ე. ი. მოხუცები.

# მოშკელეების სიმღერა

წამოვიშალნეთ, ბიჭებო,
მზე უკვე ამოსულია,
დროა დავლესოთ ნამგლები,
ყანები შემოსულია.

ჯერ მოდით ამოვირჩიოთ
მამაცი მესვეურია,
ვინც რომ ჩამოგვრჩეს სამკალში,
პირზედ წავუსოთ მურია.

ერთმანეთს მივყვეთ ფეხდაფეხ,
არ დავიზოგოთ თავები,
მუხანათმა და ორგულმა
ცოლზედ ჩაიცოს შავები.

ძნებს აგვიკონამს ნინია
ულოთი შაკრამს თადია,
ათეულს დასდგავს ნოდარე,
დღეს მისი მამითადია.

აბა დავიწყოთ „ჰოპუნა",
სამკალს ვუკვეთნეთ მღერითა,
ყველამ ერთი ხმით დავძახოთ,
ლექსები მოვსთქოთ ჯერითა.

არ წამოვიდნენ ღრუბლები,
არ დაგვისეტყვონ ყანები,
შეერთებულათ ვიშრომოთ,
რადგან ვართ კომუნარები!

გ. შინატეხელი.

---

ზე ერთ სასადილოში დარჩენილია ფიროსმანის სურათი „აღდგომა"—თუნუქზე ნახატი. იარმუკაში, სალდათების ბაზარზე „კომერციულ სასადილოში" არის წებნაკზე ნახატი სურათი „ფუნიკულიორი". ეს სურათი მეტად ხელოვნურად არის შესრულებული.

ფიროსმანიშვილის სურათები ჰქონდათ აგრეთვე ზოგიერთ მიკიტნებს, მედუქნეებს, შემდეგ ადგილებში: ავჭალის ქუჩაზე, მალაკნის ქუჩაზე, სადგურის ახლოს. მხოლოდ, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სრულიად არ უფრთხილდებიან სურათებს, რის გამოისობითაც მრავალი ფუჭდება და იკარგება, რამდენათაც ვიცი, უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში სხვადასხვა ადგილებში, უყურადღებობით დაიკარგა ნიკო ფიროსმანის ოც სურათზე მეტი, მხოლოდ კიდევშემონახულია რამოდენიმე სურათი. საჭიროა, რომ ამას მაინც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რათა ეს სურათები მაინც გადავარჩინოთ დაკარგვა-განადგურებას.

გ. გ.

---

# სახალხო-რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში

უკანასკნელ ხანებში ჩინეთში დაწყებული ფართო სახალხო რევოლიუციონური ბრძოლა გასაგები იქნება მხოლოდ მაშინ, თუ გავეცნობით უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას. იმპერიალისტების ბატონობის განმტკიცებას ჩინეთში თავისი ისტორია აქვს. იმპერიალისტებმა ამ ბატონობის განსამტკიცებლათ მთელ რიგ ძალადობათა ჩადენის შემდეგ მოიპოვეს



კანტონის სახალხო-რევოლიუციონური არმიის ჯარისკაცები.

აუარებელი პრივილეგიები, შექმნეს მთელი რიგი ორგანოები, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენენ ჩინეთის მთელ ცხოვრებაზე.

ამ პრივილეგიებში პირველი ადგილი უჭირავს ე. წ. „საკონსულო იურისდიქციას" ე. ი. უფლებას, რომლის ძალით უცხოელ კონსულებს და არა ჩინეთის მთავრობას შეუძლია გაასამართლოს ჩინეთის ტერიტორიაზე ბოროტ მოქმედების ან სხვა დანაშაულის ჩამდენი ჯარის-კაცები. ეს პრივილეგია ზარბაზნების საშუალებით გამოსტაცეს უცხოელებმა ჩინეთს.

ექსტერიტორიალობის პრინციპის შემოღება ჩინეთში, ისტორიულათ ეკუთვნის იმ პერიოდს, როცა ინგლისმა, როგორც მსოფლიო იმპერიალიზმის მებაირაღტრემ, დაიწყო გზის გაკაფვა მსოფლიო კაპიტალისათვის ჩინეთის აურაცხელ სიმდიდრეებისაკენ.

ჩინეთი ჯერ კიდევ პირველი ომის დროს ევროპიელ სახელმწიფოსთან—ინგლისთან (1839—1842 წ.) მოითხოვდა უცხოელ დამნაშავეების ჩინეთის სასამართლოების მიერ გასამართლების უფლებას. ეს ომი, 1842 წ. ჩინეთის დამარცხებით და ნანკინში ზავის ჩამოგდებით გათავდა. ამით იწყება ჩინეთის დამონების ეპოქა.

მაგრამ თუ ინგლისმა ამ ხელშეკრულებაში ვერ გაბედა მკაფიოდ ჩამოეყალიბებია იურისდიქციის უფლება თავის ქვეშევრდომთათვის, ამერიკამ, რომელიც ენერგიულად შეუდგა ჩინეთის დამონებას, უკვე ორი წლის შემდეგ გამოსტაცა უკანაკნელს ეს უფლება, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა მათ შორის დადებულ ხელშეკრულებაში შემდეგი სახით:

„შეერთებული შტატების მოქალაქენი, რომლებმაც რაიმე დანაშაული ჩაიდინეს ჩინეთის ტერიტორიაზე გასამართლებული იქნებიან შ. შტატების კანონების მიხედვით მხოლოდ კონსულების ან სპეციალური რწმუნებულების მიერ."

ასეთია საერთო სახით ექსტერიტორიალობის უფლება, რომლის წინააღმდეგ იბრძვის ჩინეთის ხალხი.

ამ უფლებით არ სარგებლობენ საბჭოთა კავშირი, გერმანია, ავსტრია და რამდენიმე პატარა სახელმწიფო (სპარსეთი, ბოლივია და სხვა).

პირველი სახელმწიფო, რომელმაც უარი სთქვა ექსტერიტორიალობის უფლებაზე, იყო საბჭოთა კავშირი.

## გონ-კონგი.

გონ-კონგი, ჩინეთში დაწყებულ ამბებთან დაკავშირებით, მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში იმყოფება. ინგლისის კოლონია გონ-კონგი შესდგება ორი ნაწილისგან—პატარა კუნძულ გონ-კონგისაგან, რომელიც 1841 წ. წაართვა ჩინეთს ინგლისმა, 145 კილომეტრის მანძილზე სამხრეთ მდებარე ქ. კანტონისგან და ნახევარ კუნძულ კოლუნისგან, რომელიც 1861 წ. წაართვა ინგლისმა ჩინეთს. კუნძულის მცხოვრებთა რაოდენობა, ინგლისის სამხედრო ძალების გამოკლებით, 1923 წ. უდრიდა 681 000 კაცს, აქედან 666.300 ჩინელი იყო. კომერციულათ, გონ-კონგი უდიდესი სავაჭრო პუნქტია აღმოსავლეთში. იმავე დროს გონ-კონგი წარმოადგენს ინგლისის სამხედრო ფლოტის საუკეთესო ბაზას შორეულ-აღმოსავლეთში გონ-კონგში მზადდებოდა ყველა შეთქმულებები კანტონის რევოლიუციონური მთავრობის წინააღმდეგ.

ქვემოთმოყვანილი აღწერა ეკუთვნის ცნობილ ფრანგ მწერალ კლოდ ფარერს, რომე-



ინგლისელი ჯარისკაცები იცავენ უცხოელთა უბანს შანხაიში.

ლიც მიუდგომლად გვიხატავს ინგლისელების ბატონობას გონ-კონგში:

„ჩვენი გემი გაჩერდა აღმოსავლეთის ერთერთ ულამაზეს ნავთსადგურში—გონ-კონგში. ნაპირი, რომელიც შორს მოსჩანს, ალბათ ჩინეთის ნაპირია, რომლის ნახვას დიდი ხანია ვისწრაფოდი. ლამაზი გორაკები, მაღალი და მიუვალი; ძალიან ცოტაა მცენარეულობა, უფრო მეტია კლდეები. ჩვენს გარშემო ტრიალე-

ბენ უცნობი ფორმის ნავები, მაღალი კვადრატული იალქნებით.

აი პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მივიღით ჩვენს წინ გაშლილი ქალაქიდან. ჩვენს გარშემო ყველაფერი მოძრაობს. ნავებზე მრავალია ქალები. თუმცა მეზღვაურის პროფესია ასე ნაკლებ შეეფერება ქალს.

გონ-კონგი პირველი დასასვენებელი ადგილია ნახტომის წინ უცნობ მხარეში, რომელსაც ეწოდება ჩინეთი.

ასი წლის წინათ გონ-კონგი უდაბნო იყო. მოვიდენ ინგლისელები. ახლა გონ კონგი ქალაქია 300.000 მცხოვრებით, მდებარეობს ტყეში, აუარებელი ხეივნებით; გონ-კონგში არის სასახლეები, ბაღები, სასტუმროები, რკინის გზა, საუცხოვო სანატორიუმი.

გავიაროთ გონ-კონგში. ნაპირი აქ კლდიანია. ქალაქი გაჭიმულია ზღვის პირათ 4—5 ვერსის მანძილზე. ქალაქში, სისწორით, რომ ვთქვათ, ერთი დიდი ქუჩაა—„დედოფლის ქუჩა". „დედოფლის ქუჩა" არ არის სწორი, იკლაკ ება, მიყვება ნაპირის ხვეულებს.

ინგლისს ყავს აქ თვისი პოლიცია, მეტად მკაცრი. პოლიციელებათ არიან უმთავრესად ინდუსები. მე მახსოვს, ერთხელ გაუგებრობა მომივიდა რიკშასთან*), რომელმაც ქალაქში გამასეირნა. გაუგებრობის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მე არაფერი გამეგებოდა ჩინურ ენაზე, რიკშას კი არაფერი ესმოდა ფრანგულის. ისე, რომ ჩვენ ვერ შევთანხმდით თუ რამდენი უნდა მიმეცა მისთვის. მაშინ მე დაუძახე პოლისმენს, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ გამომერკია, თუ რამდენი გადამეხადა. პოლიციელმა ერთი მაგრათ დაარტყა რიშკას და განაცხადა, რომ „ეხლა ის გასტუმრებულია". ასეთი ზომებით გონ კონგის ქუჩებზე შეიძლება... სასაფლაოს მყუდროების და წესრიგის დამყარება. გონ-კონგში მშვენივრათ ცხოვრობენ ევროპიელები. მათთვის მოწყობილია მოედანი დოლისათვის, მშვენიერი ხეივნები, სასეირნო ადგილები. ყველა ამ ადგილებში ჩინელებს არ უშვებენ. ყველაფერი ეს საოცარი, ლამაზი, მაგრამ ამავე დროს საშინელიც არის.

კლოდ ფარერ.

*) რიკშო—ეტლში გაბმული კაცი.

დ. დორჟელეს.

# ანნამის მეფე*)

(ეპიზოდი საფრანგეთის კოლონიის ცხოვრებიდან)

ალბათ ისტორიას არ ახსოვს უფრო სასაცილო და უფრო ასვლა განსაცვიფრებელი ტახტზე, ვიდრე გამეფება ანნამის მეფის დიუი-ტანისა.

მისი მამა ტხან-ტაი მეფობდა 20 წელზე მეტს.

— გიჟი, შეშლილი სადისტი,—ამბობენ ზოგიერთი კოლონისტები ახლაც, როცა მას გაიხსენებენ.

— არა,—ამბობენ მეორენი,—ის იყო ჭკვიანი მეფე, ჩვენ თვალები უნდა დაგვეხუჭა მის კერძო ცხოვრებაზე და დაგვეტოვებია ტახტზე იგი.

მაგრამ სწორეთ მისი კერძო ცხოვრება ისეთი იყო, რომ უყურადღებოთ დატოვება არ შეიძლებოდა. თვით ანამიტები ზიზღით უყურებდენ მას და სალამს არ აძლევდენ შეხვედრის დროს, ბავშები კი სიცილით მისდევდენ მის უცნაურ ურემს.

ჯერ ჯერობით ის კმაყოფილდებოდა მით, რომ თავის სასახლეში მონა ქალებთან ვაჭრობას თამაშობდა. თითეულს თავისი დუქანი ჰქონდა. არავინ არ ერეოდა ამაში. მას არავინ არ უშლიდა ხელს მკურნალობაში, არც იმაში, რომ იძულებულს ხდიდა თავის ცოლებს მისულიყვენ მასთან გასასინჯათ ამისათვის სპეციალურად მოწყობილ კაბინეტში. როცა განოიში მოწყობილ გამოფენაზე მან დაუკვეთა ასეული კორსეტი, შეისყიდა საფრანგეთისა და სხვა სახელმწიფოების ყველა ორდენები, რომელთა შოვნა კი შეიძლებოდა და ყველა ესები გულზე ჩამოიკიდა,—დაკმაყოფილდენ მხოლოდ მხრების აწევით. მაგრამ მისი ფანტაზია ამაზე არ შეჩერდა.

ერთხელ ბაზრობის თამაშის დროს, დედოფალმა, მისმა პირველმა ცოლმა, ნება მისცა თავის თავს ეთქვა მისთვის:

— შენი თევზი დამპალია.

გაჯავრებულმა მ ფ ემ ისე მაგრათ დაარტყა დედოფალს ჯოხი, რომ ხელი მოსტეხა.

შემდეგ უბრალო საექიმო პრაქტიკამ მას თავი მოაბეზრა და ქირურგიას მოჰკიდა ხელი შეიძინა ხელსაწყოები და მუცელი გაუჭრა მონა-ქალს, რომელიც ამ მეცნიერული ოპერაციის დროს მოკვდა. მოეწონა მას ერთი თავისი მინისტრის ქალი, ის ძალით დაეუფლა მას, მამა მისი კი დასჭრა რევოლვერიდან.

მისი უცნაური ყოფა-ქცევა აუტანელი შეიქნა და საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მისი გადაყენება. როცა ტხან-ტაიმ გაიგო ეს, შიშმა შეიპყრო. მას ეშინოდა, რომ ან მოსწამლავენ, ან დაალოჩიპენ.

მისი ახლობლებიც არანაკლებ იყვენ შეშინებული, მთელი ღამის განმავლობაში სასახლეში მოთქმა და გოდება ისმოდა.

ასე გაიარა ერთმა კვირამ და არავინ იცოდა რა მოხდებოდა შემდეგ. შემდეგ გენერალ-გუბერნატორმა მიიღო დეპეშაბრძანებითაეყვანა ტახტზე გადაყენებულ მეფის ერთ-ერთი შვილი. არჩევანის უფლება გუბერნატორს მიეცა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს გუბერნატორი ექიმის თანხლებით გაემგზავრა სასახლეში, რომ მოეძებნა თუ ვინ აეყვანა ტახტზე... საოცარი იყო ხვედრი ამ ორი რესპუბლიკანელი მოხელის...

სერიოზული სახეებით, როგორიც საჭიროა ასეთ მნიშვნელოვან დავალების შესრულების დროს, შევიდენ ისინი ჰარამხანაში, სადაც ქალები, ბავშვები და საჭურისები შეხვდენ მათ ტირილითა და წივილ-კივილით. საფრანგეთის წარმომადგენლები ამაოთ ცდილობდენ გადაყენებულ მეფის მემკვიდრეების თავის მოყრას,— ისინი ტირილით იმალებოდენ. როგორც იქნა თავი მოიყარეს მათ. გუბერნატორმა აქ პირველობა მეცნიერებას დაუთმო და უთხრა ექიმს:

— თქვენ გევალებათ გამოძებნა ამათში ისეთის, რომელიც მეფეთ გამოდგება.

კოლონიალური ექიმი, რომელსაც დღემდი მხოლოდ მეზღვაურებისა და ჯარისკაცების გასინჯვა უხდებოდა, საგონებელში ჩავარდა. შემდეგ მთელი თვისი სერიოზულობა მოიკრიბა და შეუდგა კანდიდატების გასინჯვას.

უფროსი შვილი ერთი შეხედვით დაიწუნა:

— კრეტინია, სულ მამასა ჰგავს.

— შემდეგი...

გასინჯვა გრძელდებოდა. ყველა მემკვიდრეებისათვის მამის გარყვნილ ცხოვრებას თავისი დიდი დაეჩნია. მაშინ გაიხსენეს მეფის მესამე შვილი—დიუი-ტანი, შობილი მონა-ქალის მიერ. ის არ იყო ძმებს შორის.

პატარა ბატონიშვილმა, როცა მისკენ მომავალი პროცესია დაინახა, ღრიალი მორთო და მაგრათ ჩაებღაუჭა დედის კაბაში. მაგრამ სამხედრო ექიმმა ის სინათლეზე გამოიყვანა და დაუწყო სინჯვა.

— არა უშავს. ყურები დიდი აქვს, კბილები გაფუჭებული, მაგრამ გამოდგება.

— თქვენ მოგწონთ? მაშ შევჩერდეთ მასზე ასე გამეფდა დიუი ტანი, რომელიც ამ დროს რვა წლისა იყო და ძალით წაათრიეს სასახლეში.

სანამ მას სამეფო ტანსაცმელს აცმევდენ, ოთხმა მინისტრმა აუხსნა მას მისი მოვალეობა.

* * *

რამდენ მოგონებას ინახავენ სასახლის ნაცრის და ვარდისფერი კედლები.

აი აივანი, საიდანაც დიუი-ტანი საიდუმლოთ ისმენდა მეთევზის ტანსაცმელში გადაცმულ მეამბოხე ქურუმის მოწოდებას აჯანყებისაკენ. ამ კარებით, ერთხელ, 1916 წ. გაიპარა დიუი-ტანი და შეუერთდა უცხოელთა ძალადობის წინააღმდეგ აჯანყებულებს..

*) ანნამი—საფრანგეთის კოლონია არის ინდო-ჩინეთში.

# „მეფე" 40 ქვეშევრდომით




83 წლისა „მეფე" მეთევზეთა კუნძულ ბროდსეისა (ირლანდიის ზღვაში). ამ რამდენიმე ხნის წინათ „მეფე" გადადგა „ქვეშევრდომების" მოთხოვნით. უკანასკნელებმა განაცხადეს, რომ თუ „მეფე" მათ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს, ისინი წავლენ და „მეფეს" ცარიელ კუნძულზე დასტოვებენ. „მეფე" იძულებული გახდა დამორჩილებულიყო.

## იუმორისტის კუთხე.

№ 2




## მკითხველს!

### გაფრთხილება!

არ ჰურიოთ „ეშმაკის მათრახში“
და არც „კვარწახში“,
არც „კოწარახში“,
არც გლეხის ქოხში,
(მით უფრო, არც სამკითხველოში!)

არც ფოცხში, თოხში,
ფარცხში, არც ბარში,
და არც უბრალო
თავგის შაქარში—
ეს ჩვენი კუთხე!..

მიმართვა

აი, მახე!
აჰა, დ ხე
თუა, ხახე,
შენი სახე!..

უბრალო მახე,
ანუ ხაფანგი,
აქ ნაქებია!
ჰყავს მას მისანი,
აქვს მას მიზანი,
გასაგებია! .
ვინც ჩავარდება,
ცუდს შთავარდება
ის ხომ ყოფაში!

მახე მეორეს
გაიმეორებს
ამასობაში!..
იქნება ჭერა,
თვალებში მზერა
დამნაშავისა...
დასაჭერია,
ვინც რომ მტერია
თავის თავისა!..

უკვე დაიწყო,
ადრეც რა იყო,
გზავნა ბეგარის!..
ზის ნიანგი და,
მის წინ მაგიდა,
და მსხვერპლთ შეჰხარის!..

—ახე.

## ჭირი და ლხინი ნიანგის, როს ახალს ბინას მიაგნის

სანამ ვიყავ
მე ნიანგი,
ყველა ფლიდი,
ყველა მანკი
ქედს მიხრიდა,
წელში ზნექით,
და შორიდან
კეფის ქექით
შემყურებდა
შურის თვალით,
და მეც ჩემი
კბილის ძალით
განურჩევლად
ვსჯიდი ყველას,
არ ვაძლევდი
ცოდვილთ შველას,
გავკრავდი და
გამოვკრავდი,
ზოგს ვხრავდი და
ზოგს მთლად ვნთქავდი.
მოსვენება
არ ვიცოდი:
სულ ვსაქმობდი,
სულ ვიბრძოდი,
და ვლაღობდი
ასე, ვიდრე
ქვეყნად ბევრი
გადვიკიდე:
მოვიმდურე
ერი, ბერი,
მოკეთე, თუ
მეზობელი,
ამხანაგი
არა ერთი,
რა თქმა უნდა,
ცოლის მეტი,
რადგან ცოლი
მე თვით მთაობს:
ჩემზე კბილით
თვით მუშაობს
და ენით, თუ
მჯღლით, ბლიკვით
ბევრჯერ მიმდევა
სიკვდილს იქით!..
შემდეგ, როცა
ჩამოშერთვა
ის სახელი,
რაც რომ მერქვა,
ამაქუცეს
ბასრი კბილი,
კვლავ ადგილიც
ჩემი, თბილი,
პორტფელი და
სავარძელი,
სამუშაო
ბინა ვრცელი,
მორგებული
ტანზე კუბოთ,
რაც უდაოთ
და უჩხუბოთ
არ მქონია
არც ერთ წუთში!..
და ვიჯექი
ჩემთვის ყუთში,
არც ვწვებოდი,
არც მეძინა,
რომ დამეცვა
ჩემი ბინა,
ეშვი ჩემი
კარს ებჯინა,
როგორც ომში
რაზმი წინა,

მომხვდურ მტრისა
შესახვედრათ,
საძგერათ და
გასაკვეთათ!
და ამ რიგად,
ჩემი ყოფნა:
ქრა, ლექვა, თუ
შე დუგ ცოხნა,
(აბა, არც მკა
და არც თოხნა!),
სულ ომს ჰგავდა,
მოგერებითს,
და არ მიყვარს
თავის ქებით
ირგვლივ ქვეყნის
შეჯერება:
არ ვიცოდი
შეჩერება,
როცა მტერი
ახლოს მედგა,
რომ მას ფეხი
ვერ მოედგა,
თვით მიმქონდა
იერიში!
ბევრს ვაქანე
იმ დროს შიში!!
თუმცა ვნანობ
ყველას ახლა!
ბედმა სხვა რიგ
დამასახლა,
დამცა, როგორც
უსახლკარო!
ვილას უნდა
გავექარო,
როცა თავის
რჩენის წყარო,
არ მეგების
საკუთარი?
როცა ჩემი
საბუდარი
მაღლა ცაა
და ქვეშ—მიწა,
არაფერი,
გარდა მისა!
და ჰა, რა ბეწვს
დამადარა,
ბედმა ბევრი
დამ...
არე-მარე,
კიდით-კიდე,
დავდნი ისე,
ფით სანთელი,
აღარა მაქვს
გული, წელი,
აღრინდულად
კბილს არ მიჭრის,
(რამდენიმეთ
თავშიც მიჭრის!)
თუმცა ირგვლივ
ასეთ სენში
ვის აჯობებ
შენ დღეს ჩვენში?!.
მაინც უნდა
ვალიარო
მე ეს ნაკლი,
საზიარო,
როა ვეოსვით
მომდოს ექვი,
რომ ვიცრუე
თუნდაც ბეწვი!..
ჰო და... იმის
თქმა მინდოდა,
რომ დღეიდან,
რომ იმ დროდან,
როცა ასე
სრულად წავხდი,
და სამასხროდ
ქვეყნის გავხდი,
ადრე სხვების
მასხრად მგდები,
ჩემს საკუთარს
ტყავში ვდგები:
სულ დავკარგე
ძველი სახე,
(ვით თავადმა—
სავენახე!)
და ეშმაკის
ძველი მახე
მივარდნილი
სადღაც ვნახე,
ავდექ...
ჩავესახლე!..
ეს სახლ-კარი
რომ იხილეს,
წვერ-ულვაში
დაიქილეს
ჩემმა ძველმა
მეგობრებმა,
რა თქმა უნდა,
შემდეგ მტრებმა!
კვლავ დაიწყეს
ჩემს წინ ცოცვა,
თვალში ცრემლის
ამოხოცვა,
(ნიშნად ვითომც
თანაგრძნობის),
და „დე ფაქტო"
ჩემის ცნობის
„დე იურეთ"
მომდის „ნოტა"!..
და—„ცოტაა!"..
ვამბობ: „ცოტა!
მომიტანეთ
უფრო მეტი:
არა მარტო
ოზურგეთი,
ინგლისიც და
საფრანგეთიც,
მახის მალე
დასაკეტი,
თორემ კარი
თუ გავაღე,
ლხინა მექნას,
სანოვაგე
მომივიდეს
თავის თავად!..
სათესლედ, თუ
დასაფქვავად
ყელას ეყვის
ჯარს, ჯამაათს!
ვიმუშავებ
მთელ ოც საათს,
აღარ შევსწყვეტ
ჩხუბს, მასლაათს,
გავკრავ მახეს
კაკანაანთს:
ზოგს დავკლავ, ზოგს
გავატყავებ,
წარმოებას
ავაყვავებ!..
და ნანატრი
სიიაფეც,
თქვენც მოდით და,
ჰქაფეთ! ჰქაფეთ!..

**ნიანგი.**

# შარადა

რახან ამიხდა სურვილი,
დიდი ხნის ნასურვილევი,
და კვლავ გამიჩნდა ორგანო,
ზედ ოფლათ გადავღლევი,
ჟურნალს კი არ მოვაკლებ
არაფერს, რაც მას უნდება!
(ნიანგმა „მახე" ვერ ზიდოს
არც ისე დამაბუნდება!).
უშორეს ყოველ ამისა,
რომც დავტრიალდე ჯარადა,
უნდა მუზები შევყარო
და შევადგინო შარადა!..

---

წადით, იარეთ, მონახეთ
მცენარე ჩირგვის გვარისა.
ის აქვე, ჩვენშიც ხეირობს,
თუმც არის უცხო მხარისა.
ხმელი ნედლდება, კვლავ ხმება,
დადნება, წავა წვენადა,
თან წარიმძლევანებს კენჭ საგანს,
თუ ქვიშებრ შენაფხვენადა.
უეცრად ენის მწველია,
თანაც მტვირთველი შხამისა,
აქვს „სენით მხსნელის" სახელი
და პირის დამაამისა!
სამი ასოსგან შესდგება
მისი სახელი, პატარა,
ორს აქეთ-იქით დასტოვებთ,
შვა ასო გვინდა აღარა.
მოიგდეთ ეხლა სახელი,
რის წვაც ჩვენ წაგვცდა ზევითა,
მოკლეა, ხშირად გრძელდება
შეწევა გამოწევითა.
სიტკბო-სიმწარით ცნობილი
და ათასნაირ „კავითა",
ისიც სამს ასოს შეადგენს,
ორი ჩვენ გვინდა თავითა.
მოსწყვიტეთ, შემოაბრუნეთ
და ისე დასვით ქვევითა..?
ზოგჯერ ნიშნს რომ მოუგებენ,
რაა ცნობილი ქნევითა?
ხუთიც ასხია, ათიც—კაცს,
ოციც და ოცდა ერთიცა,
მეტი არ გაგიგონია,
ნაკლები—მეტის-მეტიცა.

მოხდება, რომ აღარც ერთი
კაცზე არ ესხას მთხრობლადა
და იყვეს მისგან სხეული
სამუდმოთ დანაობლადა!..

აილეთ ერთი მათგანი,
შუა გასჭერით დანითა*),
რაც ზევით უკვე გვეწერა,
მოადგით მას უკანითა.

სახელი რამე გამოვა
დღეს ყურადღების ცენტრისა:
მთით ზღვამდის რომ იქოჩრება,
თავის დახწევა სურს მტრისა,

უხეშად თავსა რომ ესხმის,
შორიდ ნ შემოპარულა
და გაუმართავს სხვის სხლში
ჭრცხვს უსირცხვილო მარულა,

რითაც საქვეყნო ზიზღს იწვევს,
საკუთარ სახლშიც—წყრომასა,
რომ უნდა დაეპატრონოს
სხვის მიწა-წყალს და შრომასა!..

ოშისიმე.

# ს ა ღ ა მ ი

(ეშმაკის მახეს)

როს გამოვიდა
ეშმაკის მახე
და ჩვენს უბნებში
ის დავინახე,
ჩემსა სიხარულს
არ აქვს საზღვარი:
აღარ მაქვს
ჯავრი
და სანუკვარი,
მრწამს, რომ
ჩვენს უბნებს,
თავ-აშვებულებს
და განაურჩებს,
არ დაივიწყებს,
დაუდგამს მახეს
იმათ ცუდ ზრახვებს!
და ჩვენ კი, მისი
თანამშრომლები,
„ნიანგის“ ძველი
კვიდრი შვილები,
თანახმად ახალ
რადიო ცნობის,
ვიქნებით მისი
ბრძანების მცნობი!
ყველგან, ყოველთვის,
შიგნით, თუ გარეთ,
მოყვასთა ტკბილად
და მტერთ კი მწარეთ
მოვეპყრობით და
არვის დავინდობთ,
და იმა მახით
ყველას დავიპყრობთ!

და თუ ოდესმე
გავხდეთ უვიცი,
მახის წინაშე
გავტეხოთ ფიცი,
ჩვენ მოგხვდეს ზურგზე
მწვავეთ ოც-ოცი,
ამ მტკიცე სიტყვას
გაძლევსთ თქვენ

გო—ცი

# ეშმაკის მახეს

რას მოვესწარ, ეს რა ვნახე?
„ჩირაღდანშიც“ კიდევ მახე!
სწორედ არის გასაკვირი,
აქ „ნიანგის“ კვლავ საყვირი?!.
ნიანგისა მახსოვს სახე,
მაგრამ აქ „ეშმაკის მახე“
საიდგან სად გამოჩმახეს,
ან „ეშმაკი“ სად მონახეს..
რომ ჩაუდგამთ „ჩირაღდანში?“
თუმც ძველი „ეშმაკი“ განში
მუდამ არის და იქნება,
რახან მისი არის ნება!
მაგრამ ახალი „ეშმაკი“
„თაგუნა“, თუ „ფათერაკი“
გამოჩნდება ჩვენშიც ბევრი,
ათასობით ჩვენი წევრი!
ამისათვის ზურგის ფხანა.
რომ ვიკისროთ სხვებისგანა,
აქ იქნება რამე ცუდი,
რომ მოქნილი ჩვენი კუდი
მოვსცხოთ ზურგში უნებურად,
მაგრამ განზრახ ჩვენებურად?!.
მეც ასეთი ეს მიზანი,
რისაც შეწევს ღონე, ჯანი,
სამსახურად მაყრს „ნიანგის“,
ჩემი ძმა და ამხ ნაგის!
განვ-ზრახე მეგობარმა,
მე ამ ქვეყნის კომისარმა,
ძველ კლარჯეთის მებატონემ,
დღეს ბათომის მეპატრონემ,
წოდებულმა მუშათ სოფლად,
„ნიანგში“ კი—პარმენ ობლად,
რომ აწ „ეშმაკის მახეში“
თითო ძლევენი ვგზავნო დღეში,
და ამ ჩემი სამსახურით
გავაძღო ბათომი პურით,
და „მახეში“ მივათრიო
ზოგი—ფეხით, ზოგი—ყურით!..

პ. ობოლი.

# პაწია ღლაპი და დიდი ყლაპი

**აი, ვინ უწყობს მახეს მოწაფეებს.**

ებრაელის პატარა ბავშვს გაუკეთებია „ლატარია“, რომელიც შესდგება უსარგებლო ნივთებისაგან. ეს პაწია სპეკულიანტები მოწაფეებს ატყუილებენ მშობლების მიცემულ ფულებს ამ ლატარიაში აგებენ. ეს სპეკულიანტები მუდამ შრომის სკოლებთან ტრიალებენ.

(„მუშათა ცხოვრებ“. გაზ. „კომუნის ი“ № 126).



ეს პაწა „ღლაპი“
ებრაელობით
სპეკულიანტი
არის ხელობით:
შეაქვს სკოლაში
მას „ლატარია“
და სწავლის საქმე
არივ-დარია!..



ეს დიდები კი—
„სწავლის სპეცები“,
ეგზომ არიან
ხოლმე ბეცები,
რომ „ლატარიებს“
ეტმასნებიან,
მოგების ფიქრით
თითქმის სდნებიან,
მზეს ჩასაწვავად
უშვერენ კეფას
და განიცდიან
„ღლაპისგან“ ყვლეფას!..

ქაქიჩ.

# კულტგანათლების ფონზე

**რატომ არა სცხვენიათ?!**

მუშათა ცენტრალურ კლუბის წიგნთ-საცავ სამკითხველოში იკარგება წიგნები.

რატომ არა სცხვენიათ ასეთი სამარცხვინო და უზნეო საქციელისათვის იმ საზიზღრებს, რომლებიც ამას ჰბედავენ ამ მშრომელთა განვითარების ტაძარში?!

(მუშათა ცხოვრება“ „კომუნისტი“ № 180).



---

*) ერთს უცოეთის მცხოვრებმა ხმობილმა პროფესორათა, ესე საგანი ნამდვილათ უკვე აქცია ორათა,
ნაკვეთით იქვე დასწერა, მკაცრი მოწვევა ბრძოლისა!..
მე არც ჩვენში ვარ მოსურნე მსგავს პროფესორის ოლისა.

ონისიმე.

მოქალაქე ქურდი—მოქალაქე ქურდს:

ამხანაგო! რატომ არა კითხულობთ და იქით-აქეთ იყურებით?

— ვერა ხედავთ, რომ ხელს მიშლით?!.

— რაში?

— აი, გარეშე თვალის შეუმჩნევლად წიგნის ჯიბისაკენ წოლებაში!

— მეც სწორედ მაგ ტაფაში ვიწვი შენგან!

— ?!.

ხალი.

## მოთ, ნახეთ ერთი სოფელი წყენთი!..

**სამკითხველო, რომლის კარებიც მუდამ გამოკეტილია.**

ს. წყნეთში არსებობს კარგათ მოწყობილი სამკითხველო. აქვს გამოწერილი გაზეთები. მაგრამ აქ ვერც ერთ ახალ გაზეთს ვერ ნახავთ, რადგან, გამგის უვარგისობის გამო, სამკითხველოს კარები მუდამ გამოკეტილია და იღება მხოლოთ მაშინ, თუ გამგემ გაიგო, რომ ტფ[illegible]იდან შეფ კომისია მოდისო.

(„პროვინციაში“ გაზ. „კომუნისტი № 131).



გლეხი—გლეხს:

— რა ამბავია, ესტატე, ე კარები რომ ღია მოსჩანს დღეს?!.

— ალბათ, შეფ კომისია მოდის ტფილისიდანა!..

—მე.

### შენიშვნა იქავე:

**სცენის მოყვარე—სამკითხველოს გამგეს:**

სცენისთვის რო გვინდა,
გვათხოვეთ მაგიდა!..

**გამგის პასუხი:**

არ მოგცემ, რა გინდა?
ჩემია მაგიდა!..

## თუმცა მოსჩანს ყანდაურად, მაგრამ საით? სადაურად?!

ს. ყანდაურში არსებობს სამკითხველო, რომლის კარები, გ. წერეთლის „ლომ-კაცში“ მოხსენებულ ზღაპრულ სასტუმროსავით, დღიანღამიანად ღიაა. თუ შიგ შეიხედავთ, შენიშნავთ მაგიდებს ქვეშ ძველ წაღებს, ქალამნებს და სხ., ასე რომ ხარაზის დუქანი წარმოგიდგებათ თვალწინ.

(„პროვინციაში“ გაზ. „კომუნისტი“ № 133).



გლეხი—გლეხს:

— რა შენობაა ეს შენობა,
ბიძია ნიკო?!
— ქოხ-სამკითხველო, ჩემო მიქელ,
არის და იყო!
— ქოხ-სამკითხველო სახარაზოს
ჰქვია, ბიძია?!
— მაგის საბუთი, მიქელ, შენთვის
არ მომიცია!
— შენ არა, მაგრამ ა ეს კუთხე,
სავსე ჯღანებით,
ეს შკაფი პურის ნამტვრევებით,
ჰიქა-ჯამებით
სახარაზოს ჰგავს, სახარაზოს,
ბიძია, ნიკო!..
— ქოხ-სამკითხველო, ჩემო მიქელ.
არის და ზყო!..
?!

ჰაზირ!..

## ექიმი და გლეხი

(ცოცხალი სცენა ზუგდიდის ცხოვრებიდან)
გაზ. „კომუნისტი“ № 133.

**ექიმი:** აბა, შენ, გლეხო!
გასამრჯელო და მისამართი?
**გლეხი:** სოფელი „მშია“!
გასამრჯელოც—ათი მანათი!..
**ექიმი:** ათი მანათი? ცოტა არის,
მე ვერ წამოვალ!
მაშ, წადი ახლა, დაფიქრდი და
მოდი ისევ ხვალ!..
**გლეხი:** ხვალამდის ჩემი ავათმყოფი
ხომ გარდიცვლება?!.
**ექიმი:** ალბათ, ხვალამდის მისი ფასიც
გამოიცვლება!
**გლეხი:** რა, ან რის ფასი?
გამგზავრდება ის საიქიოს!..
**ექიმი:** არა, ისევ ხვალ მოდი,
ფასმაც თუ აიწიოს!..
?!

ჩოქში!..

# ჭირიანი ვარია

— ამხანაგო ქმარო! თუ შენ ჩემი თავი არ გებრალება, ბავშვები შეიბრალე.. ამ სიცხის გაძლება აღარ შემიძლია!—ეჩიჩინებოდა შებალზამხამებული ცოლი, მიტრადორა, თავის ქმარს, იპოლიტე მელანიაშვილს, ერთ-ერთ კომისარიატის თანამშრომელს. იპოლიტე დალლილ-დაქანცული, კუნძივით იდვა სკამზედ და თავი გულზედ მოწვეტილივით ეგდო.
ა — გვეყო ამდენი ნახშირმჟავით სუნთქვა! მოგვეცი შეძლება ჟანგმანით სარგებლობისა.

— ამხანაგო ცოლო! უშენოდაც კარგათ ვიცი, რომ ჟანგმანი კარგია და სხვა, მაგრამ ფულმანი გვაკლია,—ულექავდა იპოლიტე მიტრადორას.

— თავი ქვას ახალე და ჩვენ ჰაერი გამოგვიცვალე! ბორჯომში, ან ბახმაროში უნდა გაგვაგზავნო. სხვაგან ფეხს არ გავადგამ.

— ქალო! აბა, სადა მაქვს მაგის სახსარი? ბინის ქირა იმდენი სჭირია, რომ სამი თვის ჯამაგირი მაგას მოუნდება...

— გამოიბერტყე ეგ ყურები, საარაყე ქვაბის ზარფუშს—რომ მიგიგავს, რომ ექიმებმა ჰაერის გამოცვლა მირჩიეს და სხვა არაფერი ვიცი.

— შე დალოცვილო! ჰაერის გამოცვლა რატომაც არ შეიძლება... მაგრამ ოცი და ოცდა ათი თუმნები—სად ჯანაბაში ვიშოვნო?;

— ეგ ჩემი საქმე არ არის! საიდანაც გინდა, იშოვნე. მტარვალო!.. სისხლის მსმელო!.. რეტროგრადო... აზიელო!—და მიტრადორამ ჭროლა თვალებიდან სათანადო სითხის ნიაღვარის წყალვარდნილი ჩამოაფრქვია.

— მმ.. აი, რა, ჩემო სულის ბატკანო; ჩვენ არც მწვადი დბაწვათ და არც შამფური. მოდი და პირი სოფლისაკენ ვიბრუნოთ. რამდენი ხანია ჩვენ სოფელში არა ვყოფილვართ. დაუბრუნდეთ ჩვენ ძველ კერას.

— თქვენ სოფელში? რა დამრჩენია იქ?

— ქალო, ყური დამიგდე: მე საკურორტო ფული არა მაქვს და ეს ერთად ერთი გამოსავალია,—აიღო იპოლიტემ დიპლომატიური კილო, ჰავის გამოცვლაც იქნება და კვირაცხოვლის გორაკზედ იმდენი ჟანგმანია, რომ არამც თუ ჩემ ოჯახს, მთელ დუნიასაც კი ეყოფა! დადექი იმ გორაკზედ ბავშვებით, დააღეთ პირები და იმდენი ყლაპეთ—რამდენიც გესიამოვნოთ.

— შენთან ლაპარაკი შეუძლებელია, შენ ყველაფერი უნდა გაამასხარაო და გააპამპუცლო!—მოლბა მიტრადორა და იპოლიტემ ისარგებლა მომენტით და იერიში იერიშზედ მიიტანა. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ზავი იქმნა დადებული სათანადო ხელშეკრულობით და ერთი კვირის შემდეგ იპოლიტე ცოლშვილით და ჯალაბობით გაემგზავრა სოფელ ნათხარში.

იპოლიტე ათი წელიწადი არ ყოფილა სოფელში. ამ ათი წლის განმავლობაში სოფელი იმდენად შეცვლილიყო, რომ იპოლიტემ ვეღარ იცნო იგი. აღტაცებაში მოსული თავს აქნევდა და გაიძახოდა:

— რა ცვლილებაა გენაცვათ! რა ცვლილებაა! ეს კლუბი, ეს სამკითხველო, კოოპერატივი, არტელები და, რა ვიცი, რა არ—არის! რაც გინდა აგინონ ბოლშევიკებს, რა გინდა ბიჭო, საქმეს აკეთებენ!..

სოფლის ჰავამ ყველა გამოაცოცხლა. დაწყებული ბავშვებიდამ და გათავებული იპოლიტემდე ყველა თავს ჩიტივით ჰგრძნობდა. საღამოობით, ჩვეულებრივათ, კვირაცხოვლის გორაკზედ მიდიოდენ და პირღია იდგნენ გაზი. ბალონებისავით—ქანგმანის ჩასაყლაპავად.

იპოლიტეს თავი წარსულში დემოკრატიზმით მოჰქონდა, ვინაიდან თვითონაც დედმოსის შვილი იყო და ქართლელი გლეხის სიყვარული თავის მონოპოლიათ ჰქონდა გამოცხადებული. მას ძალიან უყვარს სოფლის მასწავლებელთან, ბესარიონ ექვაძესთან ბაასი. მოუსხდებიან მაგიდას კარმიდამოში და მამლის ყივილამდე ბაასობენ. თემა, რასაკვირველია, იგივე ქართლელი გლეხია. რამდენადაც იპოლიტე ოპტომისტია, იმდენად ბესარიონი სკეპტიკოსია და თუ მიტრადორაც ჩაერევა ბაასში, მაშინ კამათი მწვავე ხასიათს ღებულობს. მათი ხმა ირგვლივ მყუდროებას არღვევს და მთელი სოფლის ძაღლების ყეფა—ჭყავჭყავს იწვევს.

— ქართლელი გლეხი—დინჯია, დარბაისელი, საქართველოს პრუსიელია—ჯავახიშვილისა არ იყოს, აუჩქარებელია და სხვა. ერის ფსიხიკა და გონებრივი ავლადიდება მის ჰანგებშია ჩაკვანძილი. აიღეთ, მაგალითა, სიმღერები: ქართლელი გლეხკაცის სიმღერაში ჩაკვანძილია მთელი მისი დარდები, მისი ჭირვარამი, მისი მძაფრი გრძნობანი, გამოკაჟებული ნებისყოფა და ოცნება.

იპოლიტეს სიტყვათა ფრქვევას სწყვეტს ქუჩაში მოფარფატე, ხელებ გადახვეულ მოქეიფეთა ჯგუფი- სიმღერა-ღრიანცელი:

„მოიტანეს ბულ——ქის პუურიი“
„ვააი—ვააიიი“.
„მოააყოოლეს ზელ.—ცკიის წყალი“
„ვააი—ვაი“.

— რამდენი გრძნობა ჩაკვანძილია შიგ! რა მდიდარი, გალაღებული ფანტაზიის ღველფით განელენთილი სიმღერის ტექსტი?—ირონიით შენიშნა ბესარიონმა.

— ეგაც კულტურა!—არ სცხრება იპოლიტე.—უწინ სად იცოდა ქართლელმა გლეხმა: რა იყო „ზელცკის„ წყალი? ეხლა ქეიფშიაც კი აგონდება!

ასე ჩვეულებრივად მიმდინარეობდა მოაგარაკეთა ცხოვრება, რომ ერთ გარემოებას არ შეერყია იგი.

ერთხელ მიტრადორა, ჩვეულებრივად შვილებითურთ სოფლად სურსათ სანოვაგის ძებნაში იყო ჩაბმული.

— კვერცხები ხომ არ გაქვთ გასაყიდი,—ეკითხებოდა მიტრადორა ყაჭივით გამომხმარ მეზობელ დედაბერს.

— საიდან გვექნება, შენი ჭირიმე! რაც ეს ეკლესიები დაგვიკეტეს, წმინდა ესტატე გაგვიწყრა და ფრინველი სულ გაგვიწყვიტა. რაც გადარჩა, აღარ სდებენ კვერცხსა, თითქო პირი შეუკვრიათო. ჩემი მიხა სულ მამლებს აბრალებს: დედლებს არ ეკარებიანო. მოხუცდენ, თუ რა ღმერთი გაუწყრათ, არ ვიცი, წმ. ესტატეს მადლმა!

მიტრადორამ წასვლა დააპირა.

— მაინც... რო სადმე გიშოვნო... მეზობელთან... რამდენს მისცემდით ცალში?

— როგორც სხვები ჰყიდიან, ისე მოგართმევდით. ქალაქში სამი კაპეიკია და აქ ხომ სოფელია? უფრო იაფი არ უნდა იყოს!

— როგორ შეიძლება? აქ შვიდზედ ნაკლებ ვინ მოგცემთ?!. რამდენი გნებავთ?..

მიტრადორა სახლში ბრუნდებოდა, როდესაც შეძლებულ გლეხის ხარბიშვილის ეზოდან დედაკაცის წუწუნი შემოესმა:

— უი, თვალი კი დამიდგა!.. ამ ქოჩორა ვარიას რა მოსვლია!.. მერე ყველაზედ კარგი იყო! რა ლამაზი!.. უი-უი-უი!—მოსთქვამდა დედაბერი და თავში ხელებს იცემდა...

———

იპოლიტეს სახლს გამოკრულ ხელცახოცით მოხუცი დედაკაცი მისდგომოდა.

— დილა კარგა ყოფნისა.

— ვინა ბრძანდებით? ჰო, ხარბაანთ ელისაბედი ყოფილხართ! მობრძანდით.

— იფ! რა მშვენიერი ბავშვები გყოლიათ! პირდაპირ ანგელოზებია?

— რად გასჯილხართ, ჩემო ელისაბედ?—შეეკითხა მიტრადორა, ცოტაოდენი ხნის შემდეგ.

— იპოლიტე, თქვენ, რომ, აი, ამოდენა იყავით, ცხონებულმა დედათქვენმა ბრძანა: „ჩემო ელისაბედ, იპოლიტე რო სწავლას გაათავებს, კაბას გიყიდისო“. ისე რომ... ხი-ხი-ხი!.. თქვენზე კაბაა დარჩენილი!.. მარა ეგ რა მოსაგონებელია? ვარიას ხომ არ იყიდი? მზად გაპტყვნილია, გამზადებულია, მოხარშვაღა სჭირია... იაფად მოგცემთ!..

მიტრადორამ იჭვის თვალით გადაჰხედა: გაახსენდა ქოჩორა ვარია.

— არა, გმადლობთ. ჩვენ არ გვინდა, ნაყიდი გვყავს ცოცხალი.

— არა, თქვენ უეჭველად უნდა იყიდოთ. შეხედეთ: რა კარგია და!..

ატრიალებდა ხელში გაპტყვნილ გაშავებულ ვარიას.

— რატომ არ იღებ ქალო?—ჩაერია ლაპარაკში იპოლიტე.

— აიღეთ, დედაკაცმა რა იცის? ისევ თქვენ, იპოლიტე.

მიტრადორას ბრაზი ყელში მოსდიოდა, რომ ვერას გზით ვერ მოიშორა ახირებული დედაბერი, უცბად ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე და დასთანხმდა.

— კარგი ნათლიდედ, ხათრს არ გაგიტეხავ, რაკი ჩემი ცხონებული დედამთილის მეგობარი ყოფილხართ, მაგრამ ჩვენსა სადილად უნდა დარჩე და არას გზით არ გაგიშვებ.

ქმარმა ცოლს გაკვირვებით გადაჰხედა და ვერაფერი გაეგო. მიტრადორა დაჟინებით სთხოვდა დარჩენას, დედაბერი მადლობას იხდიდა.

— იმდენი საქმე მაქვს ოჯახში... ყველას თვალი უნდა, თორემ ეხლა ისეთი ხალხია, რომ თვალწინ მოგატყუებენ, წაგგლიჯამენ და ხახამშრალი დაგტოვებენ...

— წაგლეჯით კი—არავინ წაგგლეჯამს, ჩემო ელისაბედ და ხახამშრალს კი დაგტოვებენ, ჩაურთო სიტყვა ლაპარაკში შემოსწრებულმა ბესარიონმა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, ამის ოჯახს ას ორმოცდაათი ათასი მანეთი ნიკოლოზის ეკატერინკებით უყრიათ სახლში. ჯერ კიდევ ძველად ჰქონიათ შეგროვილი. თითონ გაჭირვებაში იყვენ, არ იცვამდენ, მილეთის გლახასავით დაიარებოდენ, არა სჭამდენ, არა სვამდენ. სიბინძურეში სული ამოსდიოდათ. შვილები ამას ლორ-ხბოში და ნახირში დაუდიოდა და მაგდენ ფულს ქვევრის ქოცოში ინახავდა!.. ეხლა კი აჰა! დარჩა ხახამშრალი! ეს სულ შენი ჭკუის საქმეა, საბედო!

— ჩემი რა საქმეა? ფულს ფასი არ დაეკარგება. დეე, ეყაროს, იმას თავის დრო მოუვა.

— მითომ ძველი დროს დაბრუნების იმედი გაქვს? ხა ხა ხა! როგორც შენ ჩემს სიყმაწვილე არ დაგიბრუნოება, ისე ძველ დროს ველარ ეღირსები! რა გინდა? პირველი შენი შვილიშვილი წინააღმდეგია ძველი დროის! აი, კომსომოლი რომა გყავს.

— თვალი კი გამოსჭყლეტია იმასა? ვინა ჰკითხავს იმასა?!

— ბესარიონ! უთაარი დარჩეს სადილად. რამდენს ვეხვეწები და არ შვრება,—მიმართა მიტრადორამ.

საერთო თხოვნით დედაბერი დასტოვეს.

———

სუფრაზე ელისაბედი საპატიო ალაგას დასვეს. ელისაბედ კვერცხებს, ლორს და ყველს დიდი სიამოვნებით მიირთმევდა და შეუმჩნევლად ნაჭრებს ჯიბეებშიც აპირებდა.

მიტრადორამ შემწვარი ქათამი შემოიტანა და რუსულად მიმართ ბესარიონსა და თავის ქმარშვილს ხელი არ ეხლოთ ქათმისათვის.

— მიირთვით, ელისაბედ!

რასა ბრძანებთ! ეხლა მარხვაა და სულს როგორ წავიწყმედავ?

— ეხლა რა მარხვაა? ჯერ ერთი და მეორე, ყველი და ლორი ხომ მოართვით ხოლმე?!.

— არა, არ შემიძლია, თქვენი ჭირიმეთ,—ლუღლუღებდა ელისაბედი და თან შეწვარ ქათამს შიშით შესცქეროდა.

— გადაიღეთ! როგორ შეიძლება? ქათმის ხორცი მიირთვით... მიირთვით!.. ეხვეწებოდა მიტრადორა და ნახევარი კერძი თეფშზედ გადაუდო.

ელისაბედ იჯდა გაფითრებული, გაქვავებული. ერთხანობათ აზრმა გაუელვა უარი ეთქვა გაემხილა თავისი თავი... მაგრამ, აბა, როგორ გასთქვამს თავის საიდუმლოებას?! იჯდა და ხელს არ ანძრევდა, კრიჭა შეეკრა, ქვედა ტუჩი ძირს დაეშვა და ოფლმა დაასხა. რაც უნდა მოუვიდეს, ელისაბედმა უნდა დასძლიოს ყოყმანი და თავის თავი არაფრით გასცეს.

რა ჰქნას?.. თხუთმეტი წლის წინათ, კამეჩი რომ ჭირით მოუკვდა, იმისი ხორცი რომ გაყიდა, თუმც თითონ არ უჭამია, მხოლოდ სხვები მაშინვე არ დახოცილან... რაც გინდა, თქვით, სული ტკბილია.

— მიირთვი ელისაბედ! მიირთვი!—ეხვეწებიან მასპინძლები. მეტადრე ეს ბესარიონი—რას ჩააცივდა მას? დასწყევლა ღმერთმა!

— ისეც თქვენ და ჩემი ცოდოც თქვენ!—წაიბუტბუტა თავისთვის ელისაბედმა და უკა-

ნასკნელ ძვლამდე გამოხრა თავის თეფში. გაათავა და კისერი წამოიგძელა. მრისხანეთ გადაავლო თვალი მიტრადორას, კაბის კალთით მოიწმინდა პირი და უცბად მაგ იდიდან წამოვარდა.

— მუშები მყავს გასასტუმრებელი... ძალიან მიჭირს, თორემ ამ ვარიას როგორ გავყიდიდი?. ფულს ეხლავე მომცემთ, თუ საღამოთი გოგო გამოვგზავნო?!.

ელისაბედმა ფული ხელში ჩაითვალა და უკმაყოფილო ბურტყუნით გაემგზავრა სახლისკენ.

— თქვენამც გამოგსვლიათ მაგვარიის ბურტყული, როგორც თქვენ დღეს მე ჩემი ჭირიანი ვარია შემაჭამეთ!.. ვაიმე, ჩემო საცოდავო თავო!

დამალათ, დამალათ!.· იმუქრებოდა ელისაბედი.

— ხა—ხა—ხა! ხა—ხა—ხა! იცინოდა მიტრადორა.

— რაშია საქმე?—გამაგებინე—ეკითხებოდა მოტრადორას ქცევით გაკვირვებული იპოლიტე.

— ისა, რომ თავისი ჭირიანი ვარია თითონვე შევაჭამე! ხა—ხა—ხა!

— რომ ფეხები გაფშიკოს მაგან, რა პა'უხს აგებ?

— ჩვენ რომ გვეჭამა, რაღა მოგვივიდოდა?

— ეგ უვიცია, ხეპრეა, მაგას მოეტევება და შენ კი ...ა . რამე რომ მოუ..იდეს.

— ნუ გეშინიან! ეგ ისეთი კუდიანია, რომ მაგას ჭირიანი ქათამი კი არა—გველაშაპიც ვერაფერს დააკლებს,--დააშოშმინა ბესარიონმა. მაგრამ დიდი მოუსვენარი მტერი კი გადიკიდეთ.

ბესარიონის სიტყვა გამართლდა: ელისაბედ თავს კარგად ჰგრძნობდა, მხოლოდ მას შემდეგ შესძულდა ეს ოჯახი. სოფელში იხმარა მთელი თავისი გავლენა, რომ არაფერი მიეყიდათ მათთვის სანოვაგე და, როცა კი მიტრადორას ბავშვებით ქუჩაში მიმავალს დაინახავდა, მშიერ ალმასა ძაღლს ჯაჭვიდან აუშვებდა და ბაგაში ჩამალული შორიდან უსევდა—უსისინებდა. გულგახეთქილი ქალი და ბავშვები თავზარდაცემულნი გარბოდენ, სანამ რომელიმე გლეხი კეტით არ დაიფრენდენ გაღიზიანებულ ძაღლს.

— ღმერთი გაგიწყრათ! აგიშვიათ ძაღლი ხალხის შესაჭმელად.

— ცუგ! ცუგა!—რა მოგივიდა, შე სამგლე?! რა ღმერთი გაგიწყრა?.. უწინ მიპარვა იცოდა... მოგეწონა ქალაქის ხორცი? ჰოო? ეგრე, ჩემო ცუგრა!—უალერსებდა ძაღლს ელისაბედი.

— სოფელში აღარ გაგვევლება, სულ სახლში უნდა ვისხდეთ... წავიდეთ, მოვშორდეთ, მოვშორდეთ აქაურობას, თორემ ელისაბედი თავის ძაღლს შეგვაჭმევს,—წუწუნებდა მიტრადორა.

ელისაბედ სახე ალგზნებული გაჰყურებდა სადგურისაკენ მიმავალ დაბარგულ ურემს, რომელშიაც მიტრადორა თავის შვილებით მოკალათებულიყო. ელისაბედ ხითხითით აცილებდა:

— სადაც თქვენი სთქვათ, იქ ჩემიც გაიხსენიეთ! ხი—ხი—ხი!..

იპოლიტე თავჩაღუნული მისდევდა ურემს, მიტრადორა კი იქიდან მას ლექციებს უკითხავდა.

— „პირი სოფლისკენ“!. აი, შენი პირი... ერთმა დედაბერმა შუა ზაფხულში პირი ქალაქისაკენ გვაბრუნებია და სულ შენი უილაჯობით და ჩანჩურობით. შენ ჩემთანა ხარ ყოჩაღიც, მამაციც, ვაჟკაციც. ყოულოჩანა! მტარვალო!.. აზიელო!..

— ეჰ, აქაც ჩემი ბრალი ყოფილა,—გააქნია თავი იპოლიტემ და გზის პირას მდგომ ცოცხანას ჯოხით თავი გააგდებინა.

**გოჩმანი.**

# მუშკორის უდიერება არ არის გედნიერება

## გაანათეთ ქუჩები,

**(ალმასკომის ხაყურადღებოდ).**

მე-6 და მე-7 უბანში თელავის ქუჩის ზევით ნაწილებში და ფალავანდოვის ქუჩაზედ ბრმების სკოლის წინ, საშინლად ბნელა. ღამით საშიშია ამ ქუჩებზე გავლა. აქ კი მეტ-წილად სულ მუშები და სოფლის მუშა-გლეხები დაიარებიან თუ იქ სინათლეს არ გაიყვანენ, შეიძლება იქ ბოროტ-მოქმედებაც მოხდეს, სიბნელის გამო.

ალმასკომო. გაგვინათე ეს ქუჩები!

მუშკორი ალ. ბეგიაშვილი,
(მუშათა უბნებიდან).

უდიერება
ბევრი გვსმენია,
მათი გამხელის
სულ არ გვრცხვენია,
რადგან ეს ცოდვა
ქვეყნად ხშირია,
ხელქვეშ დაფარვა
მათ არ სჭირია.

მაგრამ მუშკორი,
ბეგიაშვილი,
ამ მხრით სხვა არის,
ეს დალოცვილი.
იგი მოითხოვს,
იც... რიხით?
არ ადგმე... ნებს
ერთ ბიჯს ც იქით,
სანამ მოთხოვნას,
ის რომ აყენებს,
რასაც ბრალდების
სახით ა..ენებს,
არ ალუ...ულებს
მას ალმასკომი!
წამოუწყია
ნამდვილი ომი:

ცნობის მოყვარე,
შეჰყარა ყველა
და გაიძახ..ს:
„ბნელა“... და „ბნელა..!
ქუჩებში, სადაც
სკოლაა ბრმების,
უბანს აყრუ..ს
მუშკორის ხმების
ზარი და მეხი,
მძლე გამყივანი...
სჩანს, ადგილია
მართლაც მტკივანი!

ასე იფიქრებს
უთუოდ ყველა,
და თუ იმ წამსვე
არ იწყო შველა,
შორითვე დასძენს:
„ბნელა და ბნელა“!.
მა..რ მ, მუშკორო,
ლ.. ს გულისათვის,
ასე რომ ცხარობ,
ნ..ტა, რისათვის?!.
ან რომ მოითხოვთ,
რა გაქვთ საბუთი?
გსურს აგვიჩუყო
გული სათუთი
და იმოქმედო
ფაფუკ გრძნობაზე?
აყენებთ საქმეს
მაგ თქ..ენს ცნობაზე,
რაც, თუ იქნება
სწორი გაგება,
სა...... არვის
გამოადგება,
რადგან, რომ ყვირით,
ვა, მართლა „ბნელო?!“.

დაგვეთანხმება
ამაში ყველა,
რომ, ბრმათა სკოლა
სად ნაგებია,
იქ ეს სიბნელეც
გასაგებია
და ყველასათვი
სავალდებულო!..

გაიგე ეს შენც,
გალაღებულო
და უდიერო
მუშკორო, ალე,
და იმავ ბნელში
შენც შეიმალე!..

**ონიხიზე.**

# ხელოვნების ქრონიკა

## საქართველო.

● **ქ. ჭიჭინაძის წიგნი.** იბეჭდება ახლო ხანში გამოვა ცალკე წიგნათ ქ. ჭიჭინაძის გამოკვლევა „ალიტერა..ია ქართულ შაირში და ვეფხვის ტყაოსანის პრობლემა“.

● **მხატვარ ირაკლი თოიძის სურათების გამოფენა.** 19 ივლისს გაიხსნა ახალგაზრდა მხატვარის ირაკლი თოიძის სურათების გამოფენა.

● **ვანო სარაჯიშვილის კლუბში** მოეწყო კინო და ფიზკულტურის წრე ხელოვნების მუშაკთათვის.

● **ბალეტი.** თბილისში ჩამოვიდა ბალეტმეისტერი კვიატკოვსკი თავისი ბალეტით.

● **ხიმების ქარხანა.** თბილისში ეწყობა სიმების ქარხანა.

● **დამსახურებულ პროფესორის გ. ქრიაღნოვის შრომა**—„სიმღერის სკოლის პრაქტიკული საფუძვლები“ ..თარგმნება ქართულ ენაზე.

**წითელი თეატრის ქართული დასი და-ბრუნდა** აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთში) მოგზაურობიდან.

**კოლა ლომთათიძის ნაწერები.** გამოვიდა კოლა ლომთათიძის ნაწერების ორი ტომი.

**ოჯახი.** გამოვიდა ს. თალაკვაძის რომანი „ოჯახი"

**ტ. ბოკოვას მოწვევა.** საოპერო დასში შემოდგომიდან მოწვეულია ტ. ბოკოვა (ლირიული სოპრანო).

**ახალი კინო-თეატრი.** ვერის დაღმართზე, ბაღ „ამირანის" შენობაში გაიხსნა კინო-თეატრი „სპარტაკ".

**ბაქოს მუშათა თეატრი თბილისში** მოელიან საგასტროლოდ ბაქოს მუშათა თეატრს, რომელიც აქ ხუთ წარმოდგენას გამართავს და შემდეგ გაემგზავრება ბათომში.

**მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი** მოწვეულია მოსკოვის დიდი თეატრის მუსიკალური სექტორის გამგეთ და სტოვებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორობას.

**საქართველოს ეროვნულმა გალერეამ** ლენინგრადში შეიძინა მხატვარ გერშელდის 858 დი სურათი და ესკიზი. გერშელდი წარსული საუკუნის სამოციან წლეებში მონაწილეობას იღებდა კავკასიის ომში.

**ახალი სურათები.** საქ. სამხატვრო გალერეამ შეიძინა მხატვარ შიბუევის სურათი „ლმერთები ოლიმპზე" და მხატვარ ბოგოლიუბოვის სურათი—„პალერმო". შეძენილია აგრეთვე ნაპოლეონის ეპოქის ცნობილი მხატვარის იზაბეს მიერ ნახატი მიურატის სურათი.

**შემოწირულება.** მოქ. ბოტკინამ საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეიას შესწირა აკადემიკოს მ. პ. ბოტკინის 10 ეტიუდი. საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ გადასცა გალერეიას მრავალი წიგნი ხელოვნებაზე.

**ახალი სურათები.** საქართველოს კინო-მრეწველობა შეუთანხმდა „სოვკინოს" თავის კინო თეატრებში შემდები სურათების ჩვენების შესახებ: „რობინ გუდ", „ზერროს ნიშანი" (ორივე სურათი ცნობილი დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით) და „სკარამუშ"—რექს ინგრემის დადგმა.

**პოპოვას მიწვევა.** ცნობილი მომღერალი ქალი ე. მ. პოპოვა მიწვეულია თბილისის სახელმწიფო ოპერაში. მომავალ წლისათვის ის მიწვეულია ბერლინში, სადაც გამოვა „ოქროს მამალში", 1926 27 წ. კი ის იმღერებს მოსკოვის დიდ თეატრში.

**სტოლერმანის მიწვევა.** ს. ა. სტოლერმანი მიწვეულია დირიჟორად სახელმწიფო ოპერაში.

**რადიო-კონცერტები.** თბილისში დაარსდა საქ. საზოგადოება „ყველაფერი რადიოსათვის", რომელიც მიზნათ ისახავს რადიო-კონცერტების მოწყობას ამიერ კავკასიისათვის. საზოგადოებამ მოლაპარაკება გამართა ადგილობრივ ნსახიობებთან რადიო-კონცერტებში მონაწილეობის მიღების შესახებ. რადიო-კონცერტები გადაცემული იქნება ნავთლუღის მძლავრი რადიო სადგურიდან.

## აზერბეიჯანი.

**„ბაქო—საბჭოთა კავშირის მარგალიტი».** აზერბეიჯანის კინო-მრეწველობამ შეიძინა გასპარიანის კინო-სცენარი „ბაქო—საბჭოთა კავშირის მარგალიტია".

## სომხეთი.

ოპერა „ალმასტ". კომპოზიტორი სპენდიაროვი ამთავრებს ოპერას „ალმასტ", სიუჟეტი აღებულია ოვანეს თუმანიანიდან.

ოპერა „სედა". კომპოზიტორი გევონდიანი შემოდგომისათვის დაამთავრებს ოთხ მოქმედებიან ოპერას „სედა".

## რუსეთი.

შალიაპინის დაბრუნება. ფ. შალიაპინი ბრუნდება რუსეთში. დაბრუნების შემდეგ გადახდილი იქნება მისი სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე. მსახიობს გადაწყვეტილი აქვს სცადოს თავისი ძალები დრამაში იუბილეს დღეს დადგმული იქნება შექსპირის „ოტელო". ოტელოს როლს იუბილიარი შეასრულებს.

**„თავის ტვინის მექანიკა".** ამ სახელწოდებით კინო-საზოგადოება „მეჟრაბპომრუს" ამზადებს მეცნიერულ კინო-სურათს, რომლის ინიციატივა ეკუთვნის პროფ. პავლოვის მოწაფეს—ლ. ვოსკრესენსკის.

**„წყალი და ბუნება".** „კულტკინო"-ს დირექტორი ვ. სტეპანოვი დგამს სურათს „წყალი და ბუნება". სურათის მიზანია გვალვებთან ბრძოლის ზომების პროპაგანდა.

**მუსიკალურ ეტნოგრაფიული ექსპედიცია ჩრდილოეთ კავკასიაში.** მოსკოვიდან ჩრდილოეთ-კავკასიაში გაემგზავრა მუსიკალურ-ეტნოგრაფიული ექსპედიცია ჩერქეზულ სახალხო მუსიკის შესაკრებათ.

## უცხოეთი.

ჯეკი კუგან. ცნობილი პატარა მსახიობი ჯეკი კუგანი სწავლობს ამერიკელ მსახიობ ბელასკოსთან. ჯეკი კუგანი დრამ[illegible]ლ როლებზე გადადის. პირველად სწავლის დამთავრების შემდეგ ის გამოვა ჰამლეტის როლში.


# „კომუნისტი"

## მიიღება ხელის მოწერა აგვისტოსათვის

## ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით: პროფკავშირების წევრებისათვის და გლეხებისათვის თბილისში და პროვინციაში—**75** კაპ.
დანარჩენებისათვის: თბილისში—**1** მან., პროვინციაში—**1** მ. **20** კაპ.

## ხელის მომწერლებს დაურიგდება უფასო დამატებები:

„მეცნიერება და ტექნიკა" (ორი ნომერი)

და „ჩირაღდანი" (ორი ნომერი).


სტამბა გაზ. „ზარია ვოსტოკა"-სი, საშა წულუკიძის ქ., № 4. შეკვ. № 2180. ტირაჟი 18.000. მთავლ. 1132.